საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა წმინდა საქმეში, რიგორიც ბოჭდ-ვუნი სიფცვაა, ფცუილებით და ჭიბებით ბუტ-თის გაფანა ყვეოა უკარტისობაზე უსაძაგლესია.

ორშაბათი-სამშაბათი, 1-2 მარტი. 2021 წ. №42-43 (9161-9162) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 1 ლარი

ანტიეროვნულ კოლექტიურ სააკაშვილებს — ქართველი ხალხის რისხვა!

ვინ მისცა ბოროტმოქმედ მელიებს, ბოკერიებს, უგულავებს, სამადაშვილებს, ბაქრაძეებს,

ბარამიძეებს, წიკლაურებს, დუმბაძეებს, ხაბაზებს, წულაიებს და დანარჩენ არამზადა

კოლექტიურ სააკაშვილებს

ქართველი ხალხის სახელით ლაპარაკის უფლება?! მათ უწინარესად სწორედ ქართველ ხალხს მოაბეზრეს თავი თავიანთი მავნებლური პოლიტიკით და ანტიეროვნულობით!

და დიახაც, ქართველი ხალხი გასცემს სასტიკ, მაგრამ სამართლიან პასუხს!

მოთმინებასაც აქვს საზღვარი!

დიდი საპროტესტო აქცია ქუთაისში

ქუთაისის ცენტრალურ მოედანზე ნამახვანჰესების კასკადის მშენებლობის მოწინააღმდეგეთა აქცია გაიმართა. აქციის მონაწილეები ჰესების მშენებელი კომპანია „ენკას“ მიერ რიონის ხეობის დატოვებას და იმ ნებართვის გაუქმებას ითხოვენ, რომელიც ხეობაში ჰესის მშენებლობას ითვალისწინებს, ასევე, ეწინააღმდეგებიან თურქული კომპანიისთვის მიწების 99 წლით გასხვისებას.

აქციის ორგანიზატორის ვარლამ გოლეთიანის თქმით, აქცია აპოლიტიკური ხასიათის არის. მისივე განცხადებით, იმ შემთხვევაში, თუ მათი მოთხოვნები არ შესრულდება, მცირე ჯგუფებად დაიყოფიან და რიონის ხეობაში მორიგეობას გააგრძელებენ.

აქციას არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები და ოპოზიციური პოლიტიკური პარტიებიც შეუერთდნენ. აღსანიშნავია, რომ რიონის ხეობის მოსახლეობის ნაწილი უკვე 126-ე დღეა ღამეებს კარვებში ათენებს.

მდიდარი ქვეყნების ღორმუცელობა

ამირან გამყრელიძე:

ვაქცინების მესამე მსოფლიო ომია!



„მოგეხსენებათ, ძალიან დიდი უსამართლობაა ვაქცინების განაწილებაში, რადგან დღეს დილით მსოფლიოში აცრილი იყო 227 მილიონი ადამიანი და აქედან ძირითადი ნაწილი, ალბათ 70% მოდის ათ დიდ ქვეყანაზე, დანარჩენ ქვეყნებში ეს გახლავთ მცირე დოზები.

ბოლო ორი კვირის განმავლობაში, ყველა შეხვედრაზე, ეს იყო მიუნხენის კონფერენცია, თუ დავოსის ეკონომიკური ფორუმი, ყველგან გამახვილდა ყურადღება, რომ მსოფლიოში ვაქცინების განაწილებაში უსამართლობაა. ყველა მოუწოდებს, რომ როგორმე ეს უსამართლობა აღმოიფხვრას. ანუ მდიდარმა ქვეყნებმა გადანაწილების მექანიზმი სწრაფად უნდა აამუშაონ, არ დაიცადონ, ვიდრე თავის მოქალაქეებს არ აცრიან და შემდგომ გადაანაწილებენ ვთქვათ სხვა ქვეყნებზე, რადგან ამ მდიდარ ქვეყნებს ნაყიდი და დაბეებული აქვთ უკვე ორჯერ, სამჯერ და ზოგს ხუთჯერ მეტი დოზა, ვიდრე წელს სჭირდებათ საკუთარი მოსახლეობის ასაცრელად“, — განაცხადა ამირან გამყრელიძემ.

ქართული მიწა-წყლის სატკივარი

19 დვანელი რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ

8

ოპოზიცია და რიგგარეშე არჩევნები

არ იქნება სამართლიანობა, არ იქნება მშვიდობა!

მუნიციპალიტეტებში „ჩვეულებრივი“ განუკითხაობაა!

6

◎ იმავე წრეზე

კარვის მეღიები...

გაზაფხულის შემობრძანებას საპროტესტო ტალღის აგორების მცდელობით ეგებება ყოველმხრივ გაშიფრული, ნაცმოძრაობის დიქტატს დაქვემდებარებული, მისივე გერად ქცეული, ძველი, უკვე დაქიშმიშებული სახეების „გარნირს“ შერეული ახალი პოლიტიკოსების „ინგრედიენტებით“ კანტიკუნტად გაჯერებული ოპოზიცია, კიდევ ერთ დანამატად ასევე უღალატო არასამთავრობო სექტორი რომ შეუსრუტავს თავისივე სახალხო, სინამდვილეში – სადესტრუქციო დამცველის თამადობით.

უკვე მერამდენედო? – იკითხავთ ალბათ და მართალნიც იქნებით. დიახ, წლის ყველაზე ლამაზი, ცოცხალი ორგანიზმების გაღვიძების დრო ხომ ამძუვნების პერიოდია და ეს ჩვენი ხელისუფლებაში დასაბრუნებლად ყველაფერზე წამსვლელი ანტისახელმწიფოებრივი ოპოზიცია ზამთრის, იგივე საღათას ძილიდან გამოსვლას ატეხილი სამგლე გოჭივით აღნიშნავს. აი, ამაში კი ძვირფასი გამოცდილება ნამდვილად დაუგროვდა – 9 წელი რომ თეორიასთან პრაქტიკის ორგანულად შერწყმისთვის ოპტიმალური ვადაა, მისივე მმართველობის საბედისწერო 9 წელი ადასტურებს.

ციფრებით თამაში რომ მეცოცხეთა პარტიის საერთაშორისო მაწანწალად ჩამოყალიბებულ ლიდერს ახასიათებდა, მის მიერ გვემულ ქართველ ხალხს ძალიან კარგად ახსოვს, ამიტომ არ გაგვკვირვებია, ნიკანორ მელიასადმი სოლიდარობის გამოსახატავად განხორციელებული, გრანდიოზული მასშტაბის მოვლენად ჩაფიქრებული, მაგრამ წინამორბედთაგან ბევრი არაფრით გამორჩეული, ჩვეულებრივი „თავისუფლების მარში“ ჩვენს სამშობლოში კორონავირუსის პანდემიის პირველი შემთხვევის გამოვლენის წლისთავს – 26 თებერვალს რომ დაამთხვიეს (იქნებ შემთხვევით მოხდა ეს?).

ერთგვარ საკრალურ ფაქტად წარმოჩინდა პროტესტანტებთან რუსთავის მე-12 პენიტენციური დაწესებულების მხნე ბინადრის (ასეთი ინფორმაცია გამოიტანეს იქიდან მისმა ადვოკატებმა – დიმიტრი საძაგლიშვილმა და დასატუსაღებლად გახაზირებულმა ნიკა გვარამიამ) მამის, ანზორ მელიას შეერთება, „მრისხანე პარასკევის“ აპოთეოზი კი უკრაინაში დატრენინგებული ხატია დეკანოიძის მიერ საკნიდან პატიმრის გამოგზავნილი წერილის წაკითხვა გახდა.

ჰოდა, ემოციური მუხტის ასეთი აწევის შემდეგ რუსთაველზე კოტრიალში გამობრძმედილი სტაჟიანი „ამრევები“ იქ კიდევ ერთხელ დაბანაკების შანსს ხელიდან გაუშვებდნენ? რა თქმა უნდა, არა და მას შემდეგ, რაც გუშინდელი მონაცემებით 13 კარავი დასცეს, მათ შორის მცირე ხნით ერთი – გამზირის ავტომობილის სავალ ნაწილზე – ახლო მომავალში, ანუ მთავრობისთვის მათი ფუნდამენტური მოთხოვნების შესასრულებლად მიცემული გონივრული ვადის ამოწურვის შემდეგ – კარვების ქალაქის გაშენება დაგვიანონსეს. ზემოთ კი ვთქვით, ოპოზიციის მსხვილფეხობაცა და წვრილფეხობაც ძირითადად ერთ ხმაში მღერიან-თქო, მაგრამ ამჯერად, ყოველ შემთხვევაში – დროებით მაინც – ზოგ-ზოგიერთებმა („ევროპული საქართველო“, „სტრატეგია აღმაშენებელი“, „ლელო“) ურჩობა გაბედეს და გზის გადაკეტვის ვარიანტს მხარი არ დაუჭირეს. საინტერესოა, გაიტანენ კი ისინი თავისას ბოლომდე?

და ბოლოს, ნურც ასპარეზზე აქამდე ბუჩქებში შემალული ვარდ-ყვავილოვანთა ეპოქის ძალოვანი სტრუქტურების ელიტის გამოჩენას წავუყრუებთ, დღესდღეობით უმაღლეს სასწავლებლებში თბილ სავარძლებში რომ მოკალათებულან, სტუდენტ ახალგაზრდობას ტვინებს ურეცხავენ და, 41 შეკრებილს, „ენმ“-ის 41 წლის თავმჯდომარის „სვაბოდაზე“ გამოსაყვანად, პეტიცია გაუშანშალებიათ.

ხელმომწერთაგან განსაკუთრებით წონად ფიგურებს უზენაესი სასამართლოს ცბიერი თავმჯდომარე კოტე კუბლაშვილი, სულხან მოლაშვილის საქმის მოსამართლე ზაზა მეიშვილი და საკონსტიტუციო სასამართლოს ხელმძღვანელი გიორგი პაპუაშვილი წარმოადგენენ, რომელმაც ბათუმში ბიზნესმენ ბლადაძის სახლი მიითვისა(!).

ისე არ გაგვიგოთ, თითქოს დანარჩენები ფრთიანი ანგელოზები არიან და ძალაუფლებით ტკბობა მათთვის უცხოა, მაგრამ დასახელებული ტრიო მაინც აღმაშფოთებლად გამოიყურება და, როგორც ბევრი თანამემამულე, ჩვენც ვკითხულობთ: როდემდე უნდა შერჩეთ ხახვივით ერის სამარცხვინო შვილებს თვისტომთა დანგრეული სიცოცხლე, შელახული ღირსება, დარეკეტებული ბიზნესი, დარბეულ-წართმეული მედია და...

პასუხი მარტივია: ვიდრე წყეული კოჰაბიტაცია არ დასრულდება და უცხოელი „დედა ტერეზები“ არ ეყოლებიან რეაქციულ ძალებს ადვოკატებად, ამორალები მანამდე წაგვიკითხავენ მორალს და ნოტაციას!..

გია პლატონიშვილი

„ლელოსთვის“ პიკეტირება კანონთან შესაბამისობაში არ არის!

ჩვენ მივიღებთ მონაწილეობას ყველა ისეთ ძალისხმევაში, რომელიც საქართველოს კანონის შესაბამისია. პიკეტირება კანონთან შესაბამისობაში არ არის, – ამის შესახებ „ლელოს“ წევრმა, გრიგოლ გეგელიამ განაცხადა.

„ჩვენ ვიქნებით ავანგარდში ნებისმიერი პროტესტის, რომელიც ამ ქვეყანაში იქნება, მანამ, სანამ არ მივიღებთ რიგგარეშე არჩევნებს, მანამ სანამ „ქართული ოცნება“ არ დაიხევს უკან. ჩვენ ყოველთვის ვიდგებით იქ, სადაც იყო სწორი ჩვენი დგომა და ვიდგებით იქ, სადაც არის სწორი, იქ, სადაც ქართველი ხალხის დემოკრატიული ინტერესები არის დაცვის საგანი. რაც შეეხება გამოხატულებებს, ოპოზიცია არის ფართო და შესაბამისად, არის ზოგჯერ რიგ საკითხებზე განსხვავებები, რაც ნორმალურია. ზოგიერთი კოლეგა შეიძლება თვლიდეს, რომ პიკეტირება არის საუკეთესო გამოსავალი. ჩვენ ვთვლით, რომ კანონის ფარგლებში, მაგრამ ძალიან ხმამაღლა და ძალიან მყარად უნდა ვაწარმოოთ ჩვენი პროტესტი. ჩვენ მივიღებთ მონაწილეობას ყველა ისეთ ძალისხმევაში, რომელიც საქართველოს კანონის შესაბამისია. პიკეტირება კანონთან შესაბამისობაში არ არის“, – განაცხადა „ლელოს“ წევრმა გრიგოლ გეგელიამ. გრიგოლ გეგელიას თქმით, მოლაპარაკებების პერსპექტივა არსებობს.

„ჩვენ, „ლელო“, ყოველთვის ვიყავით მოწადინებული, რომ შემდგარიყო მოლაპარაკებები და ეს კრიზისი გადაჭრილიყო დეესკალაციის და მშვიდობიანი მოლაპარაკების გზით. სამწუხაროდ, აქამდე ვერ ვნახეთ „ქართული ოცნების“ადეკვატური ძალისხმევა. ვერცერთ ჯერზე ვერ დავინახეთ, რომ „ქართულ ოცნებას“ მართლა სურდა ეს კრიზისი გადაჭრილიყო მოლაპარაკების გზით. ჩვენ გვინდა ვირწმუნოთ, რომ დასავლელი პარტნიორების შეგონება მაინც იმოქმედებს და ისინი დაინახავენ, რომ ამ გზით ქვეყანას გადაჩეხავენ შეუქცევად ჩიხში“, – განაცხადა გეგელიამ.

ნიკანორ მელიას შეუძლია სატელეფონო ზარის უფლებით სარგებლობა

სპეციალური პენიტენციური სამსახური ტყუილს უწოდებს ერთ-ერთი ტელეკომპანიის მიერ გავრცელებულ ინფორმაციას, რომ ნიკანორ მელიას პენიტენციური დაწესებულებიდან დარეკვის უფლება არ აქვს.

„2021 წლის 27 თებერვალს ერთ-ერთი ტელეკომპანიის ეთერში ბრალდებულ ნიკანორ მელიაზე საუბრისას ითქვა, რომ მას პენიტენციური დაწესებულებიდან დარეკვის უფლება არ აქვს. სპეციალური პენიტენციური სამსახური აცხადებს, რომ ეს არის სიცრუე. სინამდვილეში ბრალდებულს სატელეფონო ზარზე შეზღუდვა არ აქვს. მას ზარის განხორციელება მხოლოდ დაკავებიდან ორი დღის განმავლობაში არ შეეძლო, სანამ დაუმზადდებოდა საბანკო ბარათი, რომლითაც პენიტენციურ დაწესებულებებში არსებული ტელეფონებიდან არის დარეკვა შესაძლებელი. ბრალდებულს ბარათი მიმდინარე წლის 25 თებერვალს გადაეცა, რის შემდეგ უკვე შეუძლია სატელეფონო ზარის განხორციელება, თუმცა ამ დრომდე მას პენიტენციური დაწესებულების ადმინისტრაციისთვის არ მიუმართავს მოთხოვნით, რომ სატელეფონო ზარი განეხორციელებინა“, – აღნიშნულია განცხადებაში.

ნათია თურნავა:

ბაკურიანში მსოფლიო თასის გამართვა წინგადადგმული ნაბიჯია...

ბაკურიანი მსოფლიო ზამთრის სპორტის ეპიცენტრშია. დასრულდა მსხვილი სპორტული შეჯიბრი – სქი-ქროსში მსოფლიო თასის ეტაპი, რომელიც სამი დღის განმავლობაში მიმდინარეობდა, რამდენიმე დღეში კი მსგავსი მაღალი რანგის შეჯიბრი უკვე სნოუბორდ ქროსში გაიმართება. საერთაშორისო სათხილამურო ფედერაციამ უმაღლეს დონეზე შეაფასა როგორც ორგანიზება, ასევე ჩვენი ინფრასტრუქტურის ხარისხი, – განაცხადა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა, ნათია თურნავამ, რომელიც ბაკურიანში სქი-ქროსში მსოფლიო თასის შეჯიბრს დაესწრო და ორგანიზატორებთან ერთად აღნიშნული მაღალი რანგის ტურნირის საორგანიზაციო საკითხებს გაეცნო.

ორივე შეჯიბრი საქართველოში საერთაშორისო სათხილამურო ფედერაციის ეგიდით ტარდება. ამასთან, ბაკურიანი პირველი სამთო კურორტია რეგიონში, სადაც აღნიშნულმა ფედერაციამ ასეთი მაღალი რანგის შეჯიბრის გამართვა გადაწყვიტა. მინისტრის განცხადებით, 2020 წელს, პანდემიის მიუხედავად, დასრულდა ბაკურიანში ახალი საბაგიროს და სასრიალო არეალის მშენებლობა, ასევე გაუმჯობესდა ხელოვნური გათოვლიანების კომპონენტი. ამდენად, სპეციალური ტრასა შეჯიბრისთვის ნაწილობრივ ხელოვნური თოვლითაა გაკეთებული.

„შეჯიბრი ძალიან მაღალ დონეზე გაიმართა. ეს არის პირველი ასეთი მაღალი რანგის სპორტული ღონისძიება ბაკურიანში, რაც იმას ნიშნავს, რომ უკვე დატანილი ვართ მსოფლიოს ზამთრის სპორტის რუკაზე. ჩვენ ასევე ვემზადებით მსოფლიო ჩემპიონატისთვის, რომელიც 2023 წელს გაიმართება,“ – განაცხადა მინისტრმა.

მისი თქმით, ბაკურიანში მიმდინარე სქი-ქროსის შეჯიბრი მსოფლიო მედიასაშუალებებით გადაიცემოდა.

„დღეს უამრავი ადამიანი უცხოეთში უყურებდა ბაკურიანსა და საქართველოს. ეს არის ძალიან დიდი წინგადადგმული ნაბიჯი არა მარტო ჩვენი სპორტისა და ჩვენი ახალგაზრდა სპორტსმენების განვითარებისთვის, არამედ ჩვენი ტურისტული პოტენციალის კვლავ ამოქმედებისთვის, რადგან ამ შეჯიბრით მსოფლიომ გაიცნო ბაკურიანი“, – განაცხადა ნათია თურნავამ.

მსოფლიო თასის ეტაპები სქი-ქროსსა და სნოუბორდ-ქროსში, COVID პროტოკოლის, წესებისა და რეგულაციების მკაცრი დაცვით ტარდება. შეჯიბრში მონაწილეობის მისაღებად საქართველოში 200-მდე სპორტსმენი, საორგანიზაციო ჯგუფის წევრები და მსოფლიო თასის ეტაპზე მომუშავე ჟურნალისტები ჩამოვიდნენ. შეჯიბრება მაყურებლის გარეშე გაიმართა, მაგრამ სქი-ქროსის მოყვარულებს შეეძლოთ, მსოფლიო თასის ეტაპისთვის თვალყური ედევნებინათ იტალიურ-შვეიცარული მედია კომპანიის, Infront-ის მიერ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში Eurosport-ის საერთაშორისო არხზე.

№ 42-43. ორშაბათი-სამშაბათი, 1-2 მარტი, 2021 წელი.



არავითარი სხვა სამშობლო ამაზე მეტი...

...მოკლედ, დრო და მომენტი მოირგო რადიკალურმა ოპოზიციამ (თუმცა, მოდი და გაარჩიე, ვინ რადიკალურია და ვინ კონსტრუქციული) და ბოლო ხანს დაკარგული ინიციატივების, დათმობილი პოზიციის ამოქაჩვა სცადა. ის დარწმუნდა, რომ ძალით ვერას გახდებოდა ხელისუფლებასთან და „საერთაშორისო მეგობრების“ მხარდაჭერით ცდილობს „აბაროტის“ აღებას: ქუდზე კაცს იბარებს მომხრეთაგან, აწყობს მსვლელობებს, დემონსტრაციებს, მიტინგებს, კადრულობს უკადრისს, საქართველოს ხელისუფლებას აბეზღებს „ახლობლურ“ წრეებში.

ისეთ სიცრუეებს იგონებენ, ისეთ ზღაპრებს თხზავენ, რომ თვითონვე რჩებიან გაოცებულები. ზღვარდაუდებელია მათი აღტაცება იმით, რასაც იქმენ და ამ დროს სასაცილო მდგომარეობაში იგდებენ თავს. ოპოზიციის იდეოლოგმა და „აღმატებულმა ჟურნალისტმა“ ნიკა გვარამიამ ნაციონალური მოძრაობის ოფისს, სადაც რამდენიმე დღე იყო გამაგრებული ნიკანორ მელია თავისი ერთგული მომხრეებით, ალამუთის ციხე უწოდა და, როგორც უვიცმა, თავი მოიჭრა.

ალამუთი-მიუვალი ციხე-სიმაგრე ჩრდილოეთ ირანში, ელბრუსის მთებში, ქალაქ ყაზვინის მახლობლად, 1090-1256 წლებში ასასინების თეოკრატიული სახელმწიფოს ცენტრი იყო. ასასინების (არაბულად ჰაშიშინები-ჰაშიშის მწეველები) „მიპარვით მკვლელთ“, ტერორისტთა ნეოისლამისტური ორგანიზაცია ინდივიდუალურ მკვლელობებს, ერორისტულ პოლიტიკას ახორციელებდნენ თავიანთი ფიდაების საშუალებით.

ალამუთი 1256 წელს დაანგრია მონღოლთა ჰულაგუ ყაენის ლაშქარმა. ციხესიმაგრის აღება ძალიან გაუჭირდათ, ალყა შვიდი წელი გაგრძელდა. მთელი ამ ხნის მანძილზე მათთან იყო ქართველთა ჯარი. ეს მოხდა დავით VII ულუს ხელმწიფობისას.

ამ მოვლენასთან დაკავშირებით „ქართლის ცხოვრებაში“ უმშვენიერესი ამბავი თუ ლეგენდაა მოთხრობილი.

მონღოლთა ლაშქარს ჩაღატა ნოინი სარდლობდა. ერთ ღამეს ის კარავში მიპარვით მოკლეს. მონღოლები საშინლად აღშფოთდნენ და, რაკი მკვლელი ვერ იპოვეს, ეჭვი ქართველ მოლაშქრეებზე მიიტანეს, ვინაიდან „ქართველნი დიდსა ჭირსა არიან ჩვენს გამოო“ და მათ ამოსაჟლეტად დაიძრნენ. სარდალმა სურამელმა წინააღმდეგობის გაწევაზე უარი განაცხადა: თუ არ შევებმებით, მხოლოდ წარჩინებულებს დაგვხოცავენ და უმრავლესობა გადარჩებაო. ესეც ერისთვის თავდადების შესანიშნავი მაგალითი!

ქართველებმა ილოცეს და ღვთისმშობელს შეავედრეს თავი. და მოხდა სასწაული. როცა მონღოლები მოახლოვდნენ მათ გასაჟლეტად, ლერწმოვანიდან გამოვიდა კაცი ზეაღმართული სისხლიანი მახვილით და იყვირა „მანქუშტემ ჩაღატა“, რაც სპარსულად ნიშნავს, მე მოვკალ ჩაღატაო. მან მონღოლებს უამბო: „მე ვარ მულიდი ალამუთიდან. მულიდთა თავადების დავალებით მოვკალი ჩაღატა. ლერწმოვანში რომ დავიმალე, მყის მოვიდა ვიღაც სიტურფით აღმატებული დედაკაცი და მითხრა, რა ჰქმენ, კაცო! მოკალ კაცი და დაიმალე, ახლა მრავალ სულს მოკლავენ შენი მიზეზითო. და მე ვუთხარი, რა ვქნა, დედოფალო? მან მითხრა, ადექ და გამომყევი, მიდი და თქვი, რომ შენ მოკალი ის კაცი და გადაარჩინე ურიცხვი სული სიკვდილსო. ხოლო მე სწრაფად ავდექი და გამოვყევი. მომიყვანა თქვენს წინ. როგორც კი დავიძახე და დამინახეთ, მაშინვე გაუჩინარდა და არ ვიცი, საიდან იყო მოსული.“ ასე იხსნა ერი თვისი ყოვლადწმინდა ღვთისმშობელმა.

მოგვიანებით, სეფიანთა დროს ალამუთში სახელმწიფო დამნაშავეებს ამწყვდევდნენ. XVI საუკუნეში აქ მთელი ცხრა წელი ტყვედ ჰყავდათ ქართლის გმირი მეფე სიმონ I.

ისე რომ, მკვლელთა ბუდე, შემდეგ კი სასტიკი დილეგი ალამუთი არცერთ ეტაპზე აღმაფრთოვანებელი, აღმატებულად შესადარებელი და სამაგალითო არ ყოფილა. ნიკა გვარამიას, როგორც ჩანს, უცხო სახელი ალამუთი მოეწონა და საკუთარი ვერსია შეთხზა, რაც ერთობ დამახასიათებელია მისთვის.

თუ ნიკა მელიას შტაბ-ბინისთვის ლამაზი შედარების მოხმობა სურდა, ამას საქართველოს ისტორია-გეოგრაფიიდანაც შეძლებდა. თუნდაც ბირთვისი, ალგეთში 75-მეტრიან ციცაბო კლდეზე აგებული ციხე გაეხსენებინა, რომელიც 1403 წლის 12 აგვისტოს, თავის ბოლო, მერვე შემოსევისას რის ვაივაგლახით აიღო პირადად თემურ ლენგმა უზარმაზარი ლაშქრით, კედლის სანგრევი ფილაკვნებითა და საგანგებოდ გაწრთვნილ კლდეზე მცოცავთა რაზმით. ციხის მცველი „ოცდაათი დიდებული და სხვანი მრავალნი აზნაურნი და მსახურნი“ და თვით ციხისთავიც უკლებლივ გაწყდნენ ბრძოლაში.

ბოდიშს ვიხდი ვრცელი ჩანართვისთვის, მაგრამ თავს იმით ვიმართლებ, რომ მკითხველს უთუოდ გამოადგება მისი კიდევ ერთხელ გახსენება.

მაგრამ ალამუთი რა სათქმელია ერთი ეგზალტირებული ძალგატონის ფეისბუქზე ღაღადისთან, ნიკა მელია გრაალის თასია და ჩვენ მისი სახით გრაალის თასს ვიცავთო. მეტი მკრეხელობა წარმოუდგენელია მორწმუნე ქრისტიანისგან.

წმინდა გრაალს რამდენიმე განსაზღვრება აქვს.

1. გრაალი ის სასმისია, რომელიც იესომ საიდუმლო სერობისას გამოიყენა და შემდეგ ქრისტიანთა ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს რელიკვიად იქცა.

2. გრაალი გაიგივებულია იმ თასთან, რომელშიც ნიკოდიმოსის აპოკრიფული სახარების თანახმად, იოსებ არიმათიელმა წვეთ-წვეთად შეაგროვა ჯვარცმული იესოს იარებიდან მომდინარე სისხლი.

3. მითის ქრისტიანულ ვერსიებში ზოგან გრაალი ბიბლიური წარმომავლობის საწყაულია — ადამის ნაქონი და შემდეგ დაკარგული.

მისი ძიება განსაკუთრებით აქტიურად მიმდინარეობდა შუა საუკუნეებში — თავგადაკლული ეძებდნენ ჯვაროსნები, ტამპლიერები...

აი, ეს გრაალი ყოფილა ნიკა მელია. აი, თურმე, ვის იცავენ მართლმორწმუნე ოპოზიციონერები... მოგონება არ გინდა?!

ნიკა მელიას დაკავებამ ოპოზიციის მინავლული კოცონი ახალი ძალით ააგიზგიზა. თუ აქამდე ძირითადად ერთი, ნაცადი იარაღი ჰქონდა მომარჯვებული. ახლა ეს იარაღი გამრავალფეროვნდა: ოპოზიცია მასობრივად მიაწყდა უცხოურ ორგანიზაციებს, ევროპელ და ამერიკელ ნაცნობ-მეგობრებს.

და საქართველოს აღშფოთება-შეშფოთების ნიაღვარი დაატყდა თავს. ოპოზიცია სიხარულით იფშვნეტს ხელებს: მზადდება სანქციები როგორც მთლიანად ხელისუფლების, ისე ინდივიდუალური — ცალკეულ ხელმძღვანელთა მიმართო.

ეს სანქციები, თურმე, მეორედ მოსვლის მსგავსი იქნება. **ხატია დეკანოიძე: დგება „ოცნების“ ხელისუფლების გადაგდების ჟამი — ჟამი სანქციებისა. ღმერთო, შენ გვიშველე!**

გახმიანდა ბრალდებები: **საქართველო ასცდა ევროატლანტიკური განვითარების გზას!**

საქართველომ უღალატა დასავლეთს! საქართველო დაექანა რუსეთისკენ!

ამით ოპოზიცია ცდილობს საქართველოს სახელი გაუტეხოს მსოფლიოში, უცხოელი მეგობრები, მოქმედი და სავარაუდო ინვესტორები და ჩვენი მოქალაქეები დააშინოს ქვეყნის „შეცვლილი კურსით“.

„ოცნების“ მოღვაწენი გვაფრთხილებენ: არავითარი სანქციები არ არის მოსალოდნელი, ჩვენს ევროინტეგრაციას, საერთოდ, დასავლეთთან ინტეგრაციას არავითარი საფრთხე არ ემუქრებაო, ვაშინგტონში არავითარი სანქციების შესახებ საკითხი არ განიხილებაო.

ირკვევა, რომ, ევროკავშირი თუ რამეს მოუწოდებს ოპოზიციას, ეს არის პარლამენტში შესვლა.

მაგრამ მზაკვარი ოპოზიცია მხოლოდ იმას კითხულობს, რაც აწყობს, დანარჩენს ყურსაც არ ათხოვებს. ახლაც: ევროკავშირის გზავნილში მხოლოდ ის აბზაცი ამოირჩია, სადაც წერია, მელიას დაკავებამ მხარეებს შორის დაპირისპირება გააღრმავაო და ამაში „ოცნების“ დასასრულს ხედავს (?!).

ერთი რამ ნაღდია, ოპოზიციას, რომელიც ვერა და ვერ ამტკიცებს, რომ არჩევნები გაყალბდა და ჯიუტად მოითხოვს ხელახალ არჩევნებს, პირდაპირ ცის მანანასავით მოევლინა ნიკა მელიას დაკავება. მან კვლავ მიიპყრო საზოგადოების ყურადღება, კვლავ ბრძოლის წინა ხაზზე გავიდა, ქვეყანას კვლავ კარნახობს თავის პირობებს, აშანტაჟებს პერმანენტული საპროტესტო აქციებით, სამთავრობო დაწესებულებების პიკეტირებით... პარლამენტის წინ უკვე წამოიმართა „კარვების ქალაქი“. ქვეყანა კი ფერხდება, წინსვლას ვერ ახერხებს, „ბუქსაობს“ კოვიდეპიდემიით, ეკონომიკური კრიზისით, უმუშევრობით დაღდასმული და აქტუალური ხდება ათწლეულების წინათ პოეტის მიერ დასმული კითხვა:

მშვენიერია ორ ზღვას შუა კავკასის ხედი
და კითხვა „ვინ ვის“ ბებერ გულში
ლახვრად მაჩნია,
არავითარი სხვა სამშობლო ამაზე მეტი,
არავითარი სხვა გზა, სხვა ხსნა
არ გამაჩნია!

ალეკო ასლანიშვილი
(ტ: 599568186)

იქნებ ოჯახმა ამანათის შეგზავნა მაინც სცადოს?!

რვა თვეზე მეტია, ოკუპირებული ცხინვალის უკანონო პატიმრობაში იმყოფება ზაზა გახელაძე. ოჯახი ინციდენტების პრევენციისა და მასზე რეაგირების მექანიზმის ჯგუფის შეხვედრის მოლოდინშია.

ზაზა გახელაძის ოჯახმა საერთაშორისო ორგანიზაცია წითელ ჯვარს ოკუპირებული ცხინვალის ციხეში ამანათის შეტანის თხოვნით კიდევ ერთხელ მიმართა. ოჯახმა წერილი და ამანათი წითელი ჯვრის დახმარებით, ბოლოს დეკემბრის თვეში გაგზავნა, თუმცა ოკუპირებული ცხინვალის ციხეში მისი შეტანა მხოლოდ თებერვალში მოხერხდა.

„ველოდებით ერგნეთის შეხვედრას. როგორც გავიგეთ, 5 მარტს იმართება. მოლაპარაკებების იმედი გვაქვს. ყველა ჩართულია, ხელისუფლება, საერთაშორისო ორგანიზაციები. ცხინვალიდან ადვოკატი აღარ დაგვკავშირებია. ბოლოს დაგვიკავშირდა სასამართლოს განაჩენის შემდეგ, როცა გვითხრა, რომ ზაზა უარს ამბობს გასაჩივრებაზე. არ ვიცი, რა ვქნათ. დაკავების დღიდან იმედი გვქონდა, რომ გათავისულფლდებოდა, თუმცა მერვე თვეა და აღარ ვიცი რა, ვიფიქროთ. წითელ ჯვარს მივმართეთ კიდევ ერთხელ. გვითხრეს, რომ დაუკავშირდებიან და გვეტყვიან, ხერხდება თუ არა ამანათის გაგზავნა“ — აცხადებს ზაზა გახელაძე დედა ნანა ბუნტური.

არ იქნება სამართლიანობა, მშვიდობა!

ლინკოლნ მიტჩელი – მე რომ ქართველი ვიყო, შემაშფოთებდა ის გარემოება, რომ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ და მასთან აფილირებული პარტიები, თითქმის 20 წელია, ცდილობენ, ვაშინგტონში გავლენა მოახდინონ შეხედულებებზე და ვაშინგტონში ამას უფრო მეტად აკეთებენ, ვიდრე სხვა დასავლეთ ევროპულ დედაქალაქში. როცა ხედავ კონგრესმენს, რომელიც საუბრობს საქართველოზე და იმეორებს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ნარატივს, შეცდომა იქნებოდა ფიქრი იმაზე, რომ ამის უკან აუცილებლად ფული ან რომელიმე ლობისტი დგას, რომელმაც ეს მოაწყო, თუმცა იქნებოდა უფრო ზუსტი, გვეფიქრა, რომ ამ კონგრესმენის აზრები საქართველოზე ფორმირებულია, მაგალითად, იმ არაერთ ადამიანთან, მაგალითად ქართველთან საუბრის შედეგად, რომლებიც ახლოს არიან „ერთიან ნაციონალურ მოძრაობასთან“. ქართველი რომ ვყოფილიყავი შევშფოთდებოდი იმაზე, თუ რატომ არ ისმის ამბის ორივე მხარის ვერსია ვაშინგტონში თანაბრად. კიდევ ერთი რამ, რაზეც შეკითხვა მიჩნდება, არის ის, თუ რატომ არ აკეთებს უფრო მეტს საქართველოს მთავრობა ვაშინგტონში.

გარკვეულ წილად ვეთანხმები ბატონი მიტჩელის ამ მოსაზრებას, იმ ასპექტში, რომ ნაციონალური მოძრაობა უფრო მეტად მუშაობს ვაშინგტონში, ვიდრე ხელისუფლება.

ცხადია, ზოგიერთი კონგრესმენის შეხედულებები ფორმირებულია იმ „ქართველებთან“ ურთიერთობით, რომლებიც ნაციონალურ მოძრაობას წარმოადგენენ და, ბუნებრივია, საქართველო წარმოჩინდება როგორც ავტოკრატიისკენ მიმავალი ქვეყანა.

მხოლოდ ეს ფრაზაც კი ადასტურებს ნაციონალური მოძრაობის „საქმიანობის“ მთავარ მიმართულებას – იფიქრონ არა ქვეყნისთვის საჭირო და აუცილებელ თემებზე, არამედ რევანშით, ძალადობრივი რევანშით დაბრუნდნენ ხელისუფლებაში და ამისთვის მზად არიან, დადგან სისხლიანი სპექტაკლები და ჩვენს პარტნიორებს ეს დაანახონ როგორც ხელისუფლების ძალადობა.

არადა, რეალობა კი ის არის, რომ საქართველოში ქვეყნის განვითარების მიმართულებას ირჩევს ხალხი. ქართველი ხალხი და არა ნაცების ენით მოსაუბრე კონგრესმენი, რომელსაც ნაცებისგან თანხამიღებული ლობისტური კომპანია აძლევს იმ ტექსტს, რაც რევანშისტებს სურთ.

პრინციპში უცხოელი პარტნიორების პოზიცია ძალიან კარგად მესმის – არჩევნების ლეგიტიმურობა ვცანით, განცხადებები ყველა დონეზე გავაკეთეთ.

გარკვეული პოლიტიკური ძალები არ შედიოდნენ? მოვუწოდეთ. შეხვედრებზე ვიფასილიტატორეთ.

აშშ-ის ელჩის რეზიდენციაში შეხვედრები გაგიმართეთ, სუფრაც გაგიწყვეთ.

ვიღაცებმა ისევ არაო და განცხადებები დაწერეს. ჩვენ კიდევ ვუთხარით, არ გინდათ, შედიო. ისინი „გაბოჯოგინდნენ“ – არაო.

მათი მანდატები თებერვალში უნდა გაგეუქმებინათ? – არ გააუქმეთ, არადა ხალხი, თქვენი ამომრჩეველი ამ ნაბიჯს ელოდა. თქვენ კიდევ კეკლუცობა დაიწყეთ – ისევ გაძლევთ დროსო.

ბოლო-ბოლო სახელმწიფო ხართ, თუ ლოთი ქმრის მორჩილი ცოლი, ყოველდღე რომ ეხვეწება, დღეს ხომ არ დალევო.

თან დესტრუქციულ ძალას და მოღალატეს ეძახი, თან ეხვეწები.

ჰოდა, ახლა გეუბნები (ნუ, ცხადია, პირდაპირ არა, რაღაცნაირ ფასილიტატორულად) – იმ ანეკდოტისა არ იყოს, შენ შიშმატი კი არა, ჯღანაობა გდომებიაო, აწი ჯობია, დანიშნო ვადამდელი, ძლიერი პარტნიორი მაინც გვყოლებაო.

ეგაა და ეგ (ცხადია, ნორმალურ, გასაგებ ენაზე დანერილი).

ხალხში კი ისმის ფრაზები – ლუსტრაცია მოხდა, ყველამ ნიღაბი ჩამოიხსნა და მსგავსი აღტკინებები.

უკაცრავად, მაგრამ ახლა გაიგეთ, რომ ე.წ. სახალხო დამცველი სახელმწიფოს ჩვეულებრივი მტერია?

ახლა გაიგეთ, რომ ე.წ. სამოქალაქო სექტორი უჯიშო, ურწმუნო, უსქესო და ტვინგაყინული რობოტები არიან?

ახლა გაიგეთ, რომ სახელმწიფოს სათავეში თაღლითურად გამძვრალი და მერე ადამიანურ პრინციპებზე უარნათქვამი პოლიტიკანები, ფულზე დახარბებული არამზადები არიან?

ახლა გაიგეთ, რომ მშფოთვარე დასავლელი „პარტნიორები“ ჩვეულებრივი კორუმპირებული ტიპები არიან?

ახლა გაიგეთ, რომ გვარამიას და მელაძის ბოდვაზე აწყობილი ტიპები ჟურნალისტები კი არა, ჩვეულებრივი პარტმუშაკები არიან?

ახლა გაიგეთ, რომ ეს ნაგავი გასატანია და ჰერაკლეს ლოდინი, რომ ავგიას თავლას მსგავსად ჩვენსასაც დაალაგებს სრული სისულელეა?

და კიდევ ერთი რამ, რაც ყველაზე მეტად მაღიზიანებს: ე.წ. თავის მართლების პოზა - აი, თქვენ ამერიკელებმა კაპიტოლიუმის შტურმის შემდეგ პრეზიდენტის (დიახ, ტრამპი ჯერ კიდევ პრეზიდენტი იყო) იმპიჩმენტის პროცედურა დაიწყეთ, ან კიდევ რას იტყოდა გაერთიანებული სამეფოს ელჩი, ბუკინგემის სასახლეს თავს რომ დასხმოდნენ და ჩელსიში დილის ხუთ საათზე ავტომობილები დაემტვრიათ და საცხოვრებელი ბინების ფანჯრებში ქვები ესროლათ.

კარგით, რა ხალხო, კარგით რა!

საქართველო არის დამოუკიდებელი სახელმწიფო საყოველთაოდ აღიარებული საზღვრებით, კონსტიტუციით და საკმაოდ დიდი პოტენციალით.

ეს „შედარებები“ და თავის მართლების რეჟიმი ჩვენი სახელმწიფოებრიობის პირველი მტერია!

მტერია და დღეს უმთავრესი ამ კომპლექსიდან განთავისუფლება და ჩვენი, ქართული საქმის კეთებაა.

ამ უნიათობის შემყურე, ნაცები საბოლოოდ გაჯეჯილდნენ და აქციას აქციაზე აწყობენ. ნაცების („გაერთიანებული ოპოზიცია“ და „სამოქალაქო აქტივისტები“ არა „შვანცკი“) აქციებზე მისული ხალხის მცირე რაოდენობა მუდამ დაცინვის და საკმაოდ ლეგიტიმური შეკითხვის – საიდან აქვთ ამდენი ხმა არჩევნებზე, საბაბი იყო.

და ამ შეკითხვას საზოგადოებისგან მუდამ ერთი პასუხი გაეცემოდა – ყალბდება ნაცების სასარგებლოდ (მიზეზებიც საკმაოდ დამაჯერებელი იყო).

ამ რამდენიმე დღის წინ განვითარებული მოვლენების შემდეგ (ცხადია, NDI-ს ბოლო კვლევის შედეგიც საკმაოდ მრავლისმეტყველი იყო), ნათლად გამოჩნდა კიდევ ერთი მიზეზი, რის გამოც მათ ყველა აქციაზე ცუდი კლოუნადის მსახიობებივით ცარიელ დარბაზში უწევთ თამაში – მათ ამომრჩეველს (ცხადია, „მწარე“ სექტანტების გარდა) არ მოსწონს პოლიტიკური ცხოვრების ის ფორმატი, რაშიც პირველ რიგში თავიანთ მხარდამჭერებს ამყოფებენ.

მაგალითისთვის, მათი ერთ-ერთი ლიდერის სალომე სამადაშვილის იმ შეფასებას გავიხსენებ, რაც პოლიტიკური გუნდის სახეებზე გააკეთა.

აქციებზე მისვლაზე უარი, ჯერჯერობით მხარდამჭერთა რბილი პროტესტი და ნორმალურ პოლიტიკურ პროცესებში ჩართვის სურვილია, რაც ჯერ გულისწყრომას იწვევს და სავარაუდოდ შეიძლება აქტიურ ფაზაში გადაიზარდოს.

ეს კი გარედან ყოველგვარი ჩარევის გარეშე ნაცებში შიდა რყევებს და რადიკალურ ცვლილებებს გამოიწვევს.

ამ ყველაფრის საპასუხოდ აგრესიულმა ლიბერალებმა „საოცარი გამართლება“ მოიფიქრეს – რა მნიშვნელობა აქვს, რამდენი ადამიანია აქციაზე. ერთიც რომ იყოს, აუცილებლად გასათვალისწინებელია.

სრული იდიოტიზმი!!!

დიახ, სრული იდიოტიზმი და ამ სისულელეს თავიანთ ტელევიზიებში ფორსირებულად ახმიანებენ.

არ მოვიყვან სხვადასხვა მაგალითს ამ მარაზმის შესახებ კამათში შესასვლელად იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ თუ იდიოტს ეკამათები, ე.ი. შენც იდიოტი გამოდიხარ.

უბრალოდ ამ მოცემულობას დავეთანხმები და ვეტყვი – ერთი მეტი ადამიანი (მე) ვაპროტესტებ თქვენნაირი მარაზმატიკების ყოფნას ქართულ პოლიტიკურ და საზოგადოებრივ სივრცეში (ყანაში თავისუფლად შეგიძლიათ მიბრძანდეთ) და აბა დაახვიეთ აქედან.

წერილს კი სალომე სამადაშვილის ერთ განცხადებაზე გამოხმაურებით დავასრულებ: თუ არ იქნება სამართლიანობა, არ იქნება სიმშვიდე – განაცხადა „ნაციონალური მოძრაობის“ წევრმა სალომე სამადაშვილმა. მისი თქმით, სანამ არ დაინიშნება ვადამდელი არჩევნები და არ გათავისუფლდებიან პოლიტპატიმრები, აქციები არ შეწყდება და იქნება მასობრივი.

აბსოლუტურად ვეთანხმები ქალბატონ სალომეს ამ ლოზუნგს – არ იქნება სამართლიანობა, არ იქნება სიმშვიდე!

დიახ, სანამ სამართლიანობა არ იზეიმებს მკვლელებზე, მოძალადეებზე, ბიუჯეტის მძარცველებზე, პატრიარქის და ჩვენი რწმენის მდევნელებზე, თაღლითებზე და ხარბ ლუზერებზე, არ იქნება სიმშვიდე.

ის კი, რასაც ქალბატონი ყოფილი დეპუტატი სამართლიანობას უწოდებს (ვადამდელი არჩევნები, „პოლიტპატიმრების“ განთავისუფლება), ძალადობის კიდევ ერთი გამოვლინებაა, მაგრამ სამწუხაროდ ვერც ის და ვერც მისი მომხრეები ამას ვერასდროს გაიგებენ.

გია გაბრიჭიძე

ავანტიურისტების გასაგონად!

ოპოზიცია და რიგგარეშე არჩევნები

ყველა დემოკრატიულ ქვეყანაში ოპოზიცია ცდილობს, შეცვალოს არსებული მთავრობა და მის მაგივრად მოვიდეს ხელისუფლებაში (ამაში გასაკვირი არაფერი არ არის), უბრალოდ ამისთვის არსებობს მხოლოდ ერთი ლეგიტიმური გზა – მშვიდობიანი არჩევნები და... რაც მთავარია, ხალხის მხარდაჭერა.

დღეს ჩვენს ქვეყანაში არსებული შერეული საარჩევნო სისტემა უფრო კომპრომისულია და ყველა სუბიექტისთვის სავსებით მისაღები იყო. მიუხედავად ამისა, ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების დროს გაერთიანებულმა ოპოზიციამ ვერ მიიღო საკმარისი ხმების რაოდენობა, რათა მონაწილეობა მიეღო კოალიციური მთავრობის ფორმირებაში და ამით განაწყენებულმა ოპოზიციის ლიდერებმა არ მოიწონეს არჩევნების შედეგები და მოითხოვეს მისი გაუქმება, ხოლო მიზეზად, ყოველგვარი მტკიცებულებების გარეშე მოიგონეს, რომ არჩევნები ტოტალურად გაყალბდა, ბოიკოტი გამოუცხადეს პარლამენტს და დაიწყეს ბრძოლა ხელახალი (რიგგარეშე) არჩევნებისთვის!

ამავე დროს, ოპოზიციამ არაფრად ჩააგდო გამარჯვებული მმართველი პარტიის „ოცნების“ თითქმის ერთ მილიონამდე ამომრჩევლის უფლებები და პირდაპირ უთხრა, რომ მათი ხმები „აშკარად“ გაყალბებულია, მთვრობამ ხალხის ხმები „მოიპარა“, რის გამოც ითხოვდნენ არჩევნების შედეგების გაუქმებას და რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნების დანიშვნას.

თავიანთი ოპონენტების აზრი ამ საკითხთან დაკავშირებით ოპოზიციას საერთოდ არ აინტერესებს!

ოპოზიციამ ერთ წუთითაც არ დაუშვა, რომ ეს სერიოზული საკითხი მარტო მთავრობისა და მმართველი პარტიის გადასაწყვეტი არ არის რამდენადაც, თუ ოცნების ამომრჩევლები წინააღმდეგი იქნებოდნენ და მხარს არ დაუჭერდნენ რიგგარეშე არჩევნებს, მაშინ ეს არჩევნები, ცხადია, ვერ ჩატარდებოდა. სხვა რომ არაფერი იყოს, მთავრობას ხომ უნდა აეხსნა ამომრჩევლებისათვის, რომლებმაც უკვე გააკეთეს თავიანთი არჩევანი, რატომ და რა მიზეზით იხმობენ რიგგარეშე არჩევნებზე, ხომ არ ეტყოდა: „ოპოზიციამ „ბრძანა“, რომ არჩევნები მთავრობამ გააყალბა (რომლის საჭირო მტკიცებულება ბუნებაში არ არსებობს) და ამიტომ, გთხოვთ, მობრძანდით ვადამდელ არჩევნებზე“... ამას, რა თქმა უნდა, კომენტარიც აღარ სჭირდება.

დემოკრატიულ ქვეყნებში, სადაც საპარლამენტო ცხოვრების დიდი გამოცდილება აქვთ, რიგგარეშე (**Extraordinary**) არჩევნები ტარდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც პარლამენტი ვერ ახერხებს მთავრობის დაკომპლექტებას, რასაც ჩვენს პარლამენტში ადგილი არ ჰქონია. ასე რომ, ოპოზიციას ყველა შემთხვევაში არავითარი სამართლებრივი საფუძველი არა აქვს რიგგარეშე არჩევნები მოითხოვოს! ხოლო მთავრობას კი თეორიულადაც რომც უნდოდეს, ვერ დანიშნავს რიგგარეშე არჩევნებს რამდენადაც ამის არანაირი მიზეზი არა აქვს! არარსებულ მიზეზს, ცხადია, ვერ მოიგონებს. რაც შეეხება ქართული ოცნების პოლიტიკურ გადაწყვეტილებას ამ საკითხთან დაკაშირებით, ეს გზა არარეალურია და ამას ოცნების ამომრჩეველი მხარს არ დაუჭერს.

მოძალადე პროვოკატორი ოპოზიციის ეს საარჩევნო კურიოზი კიდევ ერთხელ მიუთითებს იმაზე, რომ პოლიტიკოსმა არ შეიძლება მოითხოვოს ის, რასაც, წინასწარ იცის, რომ ვერ მიიღებს (თუ ამის უკან რაღაც სერიოზული ავანტიურა არ დგას).

დასანანია, რომ ზოგჯერ ქვეყანა ასეთ აბსურდამდე მიდის, ხოლო ეს ხდება მაშინ, როცა ზოგიერთმა ვაიპოლიტიკოსმა არ იცის არა მარტო „რიგგარეშე“, არამედ საერთოდ არჩევნები რას ნიშნავს.

ბონდო ქობულია,
მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

ირაკლი ღარიბაშვილმა 2021 წლის ბიუჯეტის რევიზიით უნდა დაიწყოს

გიორგი გახარიას ბედნიერება გადადგომაში...

გიორგი გახარიას გადადგომამ, ნამდვილად იხსნა ქვეყანა 18 თებერვალს განსაცდელისგან. მანაც გადადგომა სწორედ ამ მიზეზით ახსნა. პიროვნულად, ეს გადაწყვეტილება **გიორგი გახარიასათვის** ალბათ, მნიშვნელოვანია ემოციურად, გადაწყვეტილების თავისუფლებას (ასე გამოჩნდა) ახლავს ბედნიერების შეგძნება. თუ გახარიას პრემიერ-მინისტრად დანიშვნა (2019 წლის 8 სექტემბერი) 2019 წლის 20 ივნისის „გავრილოვის ღამეს“ მის მიერ სახელმწიფო წესრიგის დაცვის ხელმძღვანელობის დროს არაპროპორციული ძალისა და ახალგაზრების ფიზიკური დასახიჩრების გამო, ქართველი საზოგადოებრივი აზრის წინააღმდეგ (დიდის, თუ მცირე ნაწილის, არ აქვს მნიშვნელობა, ფაქტია რომ ასეთი აზრი არსებობდა) მოხდა, 2021 წლის 18 თებერვალს, მისი გადადგომა, უკვე ქართველი საზოგადოებრივი აზრის მიერ პოზიტიურად შეფასდა!

რაც შეეხება გადადგომის პოლიტიკურ მხარეს, აქ კვლავ საქმე გვაქვს, როგორც პრემიერების ყველა წინა გადადგომის დროს, **არა პოლიტკორექტურულ ძცევასთან მრავალი მიზეზით**:

ჯერ ერთი, თუ კონსენსუსს ვერ მიაღწია გუნდში აღმასრულებელი ხელისუფლების კომპეტენციაში არსებულ საკითხებზე და ჰქონდა პოზიცია, თუ რა იყო სწორი — უნდა განეხორციელებინა საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში — **რა გარანტია იყო, რომ გადადგომა გამორიცხავდა რაიმე უბედურებას? ასეთ შემთხვევაში, ის ააშორებდა საზოგადოებას საფრთხეს და მზად იქნებოდა, ამისთვის გუნდს დაესაჯა, ან ამის შემდეგ გადამდგარიყო.**

მეორე, თუ 20 ივნისს თვითონ, როგორც შინაგან საქმეთა მინისტრი, ხელმძღვანელობდა ოპერაციას და არ ეკითხებოდა პრემიერ-მინისტრს, ახალ სიტუაციაში რატომ წყდებოდა ეს საკითხი პრემიერის დონეზე? ეტყობა, გუნდურ-პარტიული თანხმობა მთავრობის აღმასრულებელ საკითხებში მიღებული პრაქტიკაა (ყოვლად გაუმართლებელი!). ასეთ შემთხვევაშიც არ ჩანს, რომ გახარიამ დააზღვია თავისი სურვილი, რაიმე უბედურება არ მომხდარიყო, იმავე გუნდში. სხვა შემთხვევაში დასვამდა საკითხს: **თუ არ დამიჯერებთ — გადავდგებიო!** ეს ასე რომ არ მომხდარა, თავისი თანაგუნდელებისთვის გადადგომის ფაქტის მოულოდნელობითაც დასტურდება. გახარიამ **„ქართულ ოცნებას“** სერიოზული ორგანიზაციულ-მორალური ზიანი მიაყენა. ამას ახსნა აქვს ერთ შემთხვევაში: **თუ 20 ივნისს მომიტინგეებისთვის სროლის ბრძანება მას არ გაუცია და სხვის ნაცვლად ატარებს ამ უმძიმეს პასუხისმგებლობას!**

თუ როგორი იქნება ირაკლი ღარიბაშვილის საქმიანობა საშუალო და,თუ უწერია, უფრო ხანგრძლივი დროით, მალე გამოჩნდება. შედეგი უკეთესი იქნება, თუ წინა პერიოდისგან განსხვავებით, როდესაც ის სრული 100%-ით იყო ბიძინა ივანიშვილის „ნდობით აღჭურვილი პირი“, ახლა ამ დამოკიდებულებისგან გათავისუფლებულია. წინააღმდეგ შემთხვევაში, მისი პოლიტიკური კარიერის პერსპექტივები მუქ ფერებში ჩანს. თუ მას ექნება სახელმწიფო მმართველობაში მაღალი ხარისხის ავტონომიურობა, შედეგის მიღწევა შესაძლებელია დიდი შრომითა და სწორი მოქმედებებით, არსებული გამოწვევების დასაძლევად ქვეყნის ინტელექტუალური პოტენციალის კონსოლიდირებით, ოპოზიციასთან დიალოგის გზით, პარტნიორებთან და ხალხთან ხელისუფლების ნდობის გაძლიერებით.

წარმატება შესაძლებელია საზოგადოების მაქსიმალური გაერთიანებით შექმნილი სოციალური და ეკონომიკური გამოწვევების დასაძლევად, რომელთა შორის უახლოეს მომავალში მოსალოდნელია ისეთი საფინანსო-საბიუჯეტო კრიზისის ტალღა, რომელიც COVID-19-ის პირველ და მეორე ტალღებს გადაფარავს!

უმნიშვნელოვანესი საკითხია, თუ როგორ ფუნქციონირებენ ინსტიტუტები, საჯარო სამსახურები, მათი ზედა და საშუალო რგოლები, საჯარო მოხელეები...

საქართველოში 30 წლის განმავლობაში მმართველობის თავში რაც გასაფუჭებელი იყო, თითქმის ყველაფერი გაფუჭებულია. ხალხი ხელისუფლების მხრივ არაა პატივში. ახლა სახელმწიფოს ცუდი მმართველობის ავადმყოფობის გენერაცია მთავრობის საშუალო და ქვედა რგოლებში მიმდინარეობს. **სახელმწიფო მანქანა არ მუშაობს ავტომატურ რეჟიმში. ის ხელით მართვას ითხოვს. ამიტომ, ყველა ახლად დანიშნული პოლიტიკური თანამდებობის პირები ეფლობიან რუტინაში და ბიუროკრატიულ-ჩინოვნიკური ამქარი, როგორც ობობა, ისე ახვევენ გადაუჭრელი საქმეების ქსელში. შედეგად, ქვეყანა იმართება არა ტენდენციებისა და ფაქტების მიხედვით შემდგარი პროგრამებით, არამედ, აჟიოტაჟით, სენსაციებითა და სკანდალებით.**

ირაკლი ღარიბაშვილის ასეთ ბიუროკრატიულ ქსელში გახვევა უკვე დაიწყო.

ირაკლი ღარიბაშვილის, როგორც საქართველოს პრემიერ-მინისტრობის კანდიდატის მიერ საქართველოს პარლამენტში 19.02.2021 წ. ნდობის გამოსაცხადებლად წარდგენილი სამთავრობო პროგრამა 2021-2024 **„ევროპული სახელმწიფოს მშენებლობისთვის“** იდენტურია, იგივეა, არც ერთი სიტყვით და არც ერთი პუნქტუაციის ნიშნითაც კი, არ განსხვავდება 18.12.2020წ. **გიორგი გახარიას,** როგორც საქართველოს პრემიერ-მინისტრობის კანდიდატის მიერ საქართველოს პარლამენტში ნდობის გამოსაცხადებლად წარდგენილი სამთავრობო პროგრამისგან - 2021-2024 „ევროპული სახელმწიფოს მშენებლობისთვის“.

ეს კატასტროფაა.

გახარიასა და **ღარიბაშვილის** მიერ პროგრამის წარდგენებს შორის გასულია ორ თვეზე ოდნავ მეტი, მაგრამ ისეთი მნიშვნელოვანი მოვლენებით, რომლის პროგნოზირება შეუძლებელი იყო ორი თვის წინ: **დაწყებული ბიძინა ივანიშვილის მიერ ყველა ფორმალური თანამდებობის დატოვებით, შეზღუდული შესაძლებლობების პარლამენტით და ყველა პროგნოზირებული მაჩვენებლის დარღვევით** (როგორც 2020, ისე 2021 წლისათვის) **დამთავრებული.**

ახალი პრემიერ-მინისტრი სწორედ პროგრამით აკეთებს განაცხადს, რომლის საფუძველზეც მტერიც და მოყვარეც იგებს, თუ რა მოქმედებას უნდა ელოდოს სახელმწიფოსგან. კარგად ჩამოყალიბებული გზავნილები ორიენტირია მოსახლეობისა და ბიზნესისთვის. ვთქვათ, უცვლელი პროგრამა შეიძლება აღქმულ იქნას, როგორც დეკემბერში მიღებული პროგრამის ერთგულება და გახარიას საქმიანობის მემკვიდრეობითობის დაცვა.

მაგრამ, სად ჩანს არსებული სიტუაციის შეფასება? თუნდაც იმ პროცესის, რამაც გამოიწვია მთავრობისთვის ხელახალი ნდობის გამოცხადებისა და პრემიერ-მინისტრის შეცვლის აუცილებლობა?!

ახალი პრემიერ-მინისტრის მიერ სადაა გახარიას საძმიანობის შეფასება, სადაც ნაჩვენები იქნებოდა მისი წარმატება და წარუმატებლობა, შესაბამისი დასკვნებითა და მოძმედების გეგმით.

თუ ღარიბაშვილი უაპელაციოდ იღებს გახარიას მთავრობის ყველა შედეგს?

2019 წლის 26 ნოემბერს გიორგი გახარიამ გამოაცხადა პანდემიასთან ბრძოლის ორთვიანი „როგორმე თებერვლამდე მიღწევის პროგრამა“. როგორია ამ პროგრამის შედეგი? ამ პროგრამის ძვეშ დაიხარჯა ასობით მილიონი, მათ შორის ბიძინა ივანიშვილის შემოწირული 100 მილიონი ლარი.

გახარიას მთავრობას მოწვეული ჰყავდა „მსოფლიო დონის ექსპერტები“ და მათი ძართველი 19 „ასისტენტი ექსპერტი“. როგორია ამ ჯუფის მუშაობის შედეგები და შეაფასეს თუ არა „თებერვლამდე მიღწევის პროგრამა“, და რა მოსაზრებები გააჩნიათ მიმდინარე პროცესებზე? მათ არ წარმოუდგენიათ, თუ არ ასახულა მათი მოსაზრებები სამთავრობო პროგრამაში?

პრემიერ-მინისტრობის პერიოდში გიორგი გახარიას ჰქონდა ორი თვე - 2020 წლის მარტი და აპრილი, როდესაც სიტუაციამ პანდემიასთან დაკავშირებით, ის გახადა ფაქტობრივი სუვერენი საქართველოს სახელმწიფოში. მან ფსიქოლოგიურად კარგად გაართვა თავი ამ უზარმაზარ გამოცდას. თუმცა, შემდგომში არ ეყო მეცნიერების, სისტემური მიდგომის ერთგულება და პანდემიის პირველ ტალღასთან წარმატებული 2020 წლის პირველ ნახევრის აქტივობები, კერძოდ, ეკონომიკაში „ფულის ჩასხმის“ პოლიტიკა (რაც ნასესხები ფულით განხორციელდა), გაიმეორა მეორე ტალღისთვის, რაც აისახა 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში. ბიუჯეტი შედგა მიდგომით — ვისესხოთ ფული და არავის არ ვაწყენინოთ, ვინც რამდენს იღებდა, იმდენი მიიღოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

ამ მიზნის მისაღწევად გაკეთდა ყოველგვარ ობიექტურ საფუძველს მოკლებული, გაუმართლებლად ოპტიმისტური ეკონომიკური ზრდის პროგნოზი.

გახარიას მთავრობა, საქართველოს ეკონომიკურ ისტორიაში შევა როგორც მთავრობა, რომელმაც ვალებში ჩაფლო ქვეყანა და დააყენა ის დეფოლტის საშიშროების წინაშე. ამის მთავარი შემოქმედი საქართველოს ფინანსთა სამინისტროა, რომლის მინისტრიც — ივანე მაჭავარიანი ირაკლი ღარიბაშვილის მთავრობაშიცაა წარმოდგენილი. ივანე მაჭავარიანისა და მისი გუნდის წყალობით საქართველოს უახლოეს მომავალში 5-7 წელი და თუ კიდევ ის დარჩა მინისტრად, მაშინ 7-12 წელი მაინც, საქართველოს საბიუჯეტო და ეკონომიკური პოლიტიკის მთავარი საკითხი იქნება საგარეო ვალებისა და მისი პროცენტების გადახდა (მომსახურება), შემდეგ სხვა დანარჩენი. ასეთი არ ყოფილა საქართველოში!

ამ მინისტრით მთავრობისადმი ნდობის აღდგენა-გაძლიერება წარმოუდგენელია.

ფინანსთა მინისტრი, რომელიც, აცხადებდა რომ საწვავზე დაბალი ფასები უბედურებაა, ის ალბათ ბედნიერია, საწვავზე ფასების ზრდით, მაგრამ არავინაა, რომ ჰკითხოს.

საქართველოს პარლამენტს ევალება ასეთი კითხვების დასმა, მაგრამ ის ჯერ დაბნეულია მელიას დაჭერის უფლების გაცემის „პოლიტიკური ნათლობით“ და ამ დღეების ნაციონალური ქოთქოთით!

ამ დროს, საქართველოს პარლამენტში ირაკლი ღარიბაშვილმა წარადგინა ფაქტობრივად მთავრობის ის შემადგენლობა და საქართველოს ის ფინანსთა მინისტრი, რომელთაც დაარღვიეს საქართველოს ორგანული კანონის „ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“ მოთხოვნა საქართველოს მთავრობის ვალის მთლიან შიდა პროდუქტთან თანაფარდობის 60%-იანი ზედა ზღვარის თაობაზე ისე, რომ დეკლარირების გარდა არც მიზეზებია წარდგენილი საქართველოს პარლამენტისთვის და არც აღნიშნულ პარამეტრში დაბრუნების 3-წლიანი გაწერილი გეგმა.

საქართველოს პარლამენტს არ უჩნდება კითხვა:

რატომ? რატომ არ შეიძლება ამ 60 %-იანი ზღვარის დაცვა?

რა ალტერნატივები არსებობს ამისთვის?

ალტერნატივები არსებობს და თუ ის არ იქნება გამოყენებული, მაშინ საქართველოს ზოგიერთი ქვეყნის ძალიან ცუდი ისტორიის საკუთარ თავზე გამოცდა მოუწევს.

ივანე მაჭავარიანმა **ჯერ კიდევ** გასული წლის დეკემბერში აუხსნა საქართველოს პარლამენტს:

„ჩვენ გვაქვს მაგალითები იმისა, რომ ჩვენთან შედარებით ძლიერი ეკონომიკის, მაღალი კულტურისა და დიდი ისტორიის ქვეყნებმა (საბერძნეთი, ლიბანი) საკმაოდ დიდი დარტყმა მიიღეს იმიტომ, რომ წლების განმავლობაში ისინი არ იმართებოდნენ სწორად, ფისკალური და მაკროეკონომიკური თვალსაზრისით, რამაც ისეთი ზიანი მიაყენა მათ, რომელსაც მინიმუმ ერთი დეკადა დასჭირდება, რომ მოხდეს ვითარების რეაბილიტაცია და აღდგენა. რასაკვირველია, ჩვენ ეს არ გვემუქრება, არ გვემუქრება არც ერთ შემთხვევაში, თუმცა უნდა ვიყოთ მაქსიმალურად ფრთხილად. კიდევ გიმეორებთ, ჩვენი ამ წლის დეფიციტი არის 9%, რაც უკიდურესად მაღალია, მაგრამ ადეკვატურია პანდემიის გამოწვევებთან მიმართებაში. შემდეგი წლის დეფიციტი, რომელიც ჩვენ წარვადგინეთ პარლამენტში, არის 7,5%, რაც ასევე მაღალია და უკვე 2022 წლიდან ჩვენ უნდა დავიწყოთ მკვეთრი დაღმასვლა, რათა შევინაჩუნოთ მაქსიმუმ 3%-იანი მაჩვენებელი“

დეკადის მნიშვნელობა რომ არ იცის მინისტრმა — ფაქტია!

მაგრამ ის ზუსტად იცის, რომ ქვეყანა თუ არ იმართება სწორად — „დიდ დარტყმას“ მიიღებს!

ის კი პარლამენტში არავის არ უკითხავს, საქართველოს აქვს თუ არა შანსი თავიდან აიშოროს ეს უბედურება?

2024 წელს, როდესაც ჯერ კიდევ დაკლეული არ იქნება (ივანე მაჭავარიანის გეგმით) საბიუჯეტო პრობლემები 2020 წლის დონეზეც კი, როგორ აპირებს საქართველოს მთავრობა ევროკავშირის კარზე დაკაკუნებას? თუმცა, რა ძნელი გასაგებია, დაკაკუნებას გეგმავს, შესვლას ხომ არა?

ირაკლი ღარიბაშვილს ვურჩევ 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის რევიზიითა და ოპტიმიზაციით დაიწყოს!

ისე, როგორც ყველა მთავრობას, ამ მთავრობასაც ვუსურვებ წარმატებას განწყობის საფუძველზე — საქართველოს ყველა მთავრობა მინდა იყოს წარმატებული.

მიხეილ ჯიბუტი,
პროფესორი

მუნიციპალიტეტებში „ჩვეულებრივი“ განუკითხაობაა!

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა რამდენიმე მუნიციპალიტეტში სახელმწიფო ფინანსების ხარჯვის და ქონების განკარგვის შესწავლა დაასრულა და მთელი რიგი დარღვევები გამოავლინა: საუბარია ხელოვნურად გაზრდილ შტატებზე, ბიუჯეტის არასათანადო ხარჯვაზე, მათ შორის უხარისხოდ შესრულებულ სამუშაოებზე, ტენდერების დროს კონკრეტული კომპანიების უპირატეს მდგომარეობაში ჩაყენებაზე და ა. შ.

უფუნქციო კადრები, ავტოპარკი, საწვავის ტენდერები... აუდიტის მიერ აღმოჩენილი დარღვევები თელავის, გურჯაანის, დმანისისა და ბორჯომის მუნიციპალიტეტებში

ბორჯომი

ბორჯომის მუნიციპალიტეტის 2018-2019 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტით გამოვლინდა, რომ მუნიციპალიტეტში არსებობს როგორც ფინანსური რესურსების, ასევე დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტების მართვის ხარვეზები. მუნიციპალიტეტმა ვერ უზრუნველყო არაფინანსური აქტივების ზრდის პარამეტრების სათანადო დაგეგმვა, რის გამოც შესაბამისი საბიუჯეტო მუხლის შესრულებას 2018-2019 წლებში, შესაბამისად, 29% და 14% დააკლდა.

სახელმწიფი აუდიტი მიუთითებს, რომ მუნიციპალიტეტში სათანადოდ არ ფუნქციონირებს უკანონო მშენებლობების აღმოჩენისა და მათზე რეაგირების კონტროლის სისტემა. შედეგად, დაბა ბაკურიანში კერძო პირების მიერ მშენებლობების უკანონოდ წარმოება სისტემურ ხასიათს ატარებს. თავის მხრივ, მერია მშენებლების მიმართ არ ახორციელებს კანონმდებლობით განსაზღვრულ სათანადო ღონისძიებებს.

გარდა ამისა, როგორც სახელმწიფო აუდიტის დასკვნაშია მითითებული, მუნიციპალიტეტმა მგზავრთა შიდა საქალაქო გადაყვანის სატრანსპორტო საშუალებების და ნაგავმზიდების შესყიდვის პროცესში სათანადოდ არ ჩაატარა ბაზრის კვლევა. ამასთანავე, შესასყიდი საქონლის ტექნიკური პარამეტრები განისაზღვრა ისე, რომ ერთი მიმწოდებელი აღმოჩენილიყო უპირატეს მდგომარეობაში. შესყიდვის პროცესში არსებული ნაკლოვანებების შედეგად, მუნიციპალიტეტს არ მიეცა საბიუჯეტო სახსრების ეკონომიურად ხარჯვის შესაძლებლობა. განხორციელებული შესყიდვების ფარგლებში მიმწოდებელმა მერიას სამგზავრო ავტობუსები 410.8 ათასლარიანი (31%) ფასნამატით მიაწოდა.

როგორც უწყება აღნიშნავს, მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელებული ღონისძიებები მოსახლეობის წყალმომარაგების კუთხით არასაკმარისია: მიუხედავად იმისა, რომ მერიამ წყალმომარაგების სისტემაზე 2018-2019 წლებში 935.8 ათასი ლარი დახარჯა, მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს მიეწოდება ისეთი წყალი, რომელიც არ შეესაბამება მოქმედ სტანდარტებსა და ნორმებს.

გამოვლინდა, რომ 2018-2019 წლებში 413.4 ათასი ლარის ღირებულების სამუშაო შესრულებულია უხარისხოდ!

ამასთან, დასკვნის მიხედვით, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის განვითარების პროგრამის ფარგლებში, ბორჯომის მერიამ, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მუდმივად მცხოვრები მოსახლეობისთვის საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების ნაცვლად, დააფინანსა ისეთი ბინების რეაბილიტაცია, რომლებსაც მფლობელები ძირითადად გასაქირავებლად იყენებენ.

აუდიტის სამსახურის დასკვნით, ბორჯომის ცენტრალური (ისტორიული) პარკის ადმინისტრაციამ დაუსაბუთებლად მიიღო გადაწყვეტილება, შეეჩერებინა ცენტრალურ პარკში არსებული საცურაო აუზის ფუნქციონირება. შენობის ადგილზე დათვალიერების შედეგადაც დადგინდა, რომ უფუნქციოდ დარჩენილ აუზს სათანადოდ აღარავინ უვლიდა, რის შედეგად შენობის მნიშვნელოვანი ნაწილი დაზიანებულია.

ა(ა)იპ – ბორჯომის ცენტრალური (ისტორიული) პარკის ადმინისტრაცია სათანადოდ არ იყენებს შემოსავლების აღრიცხვის სისტემას. ა(ა)იპ-ს არ აქვს დანერგილი სათანადო კონტროლის სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს შემოსავლების სრულად და სამართლიანად ასახვას ბიუჯეტში.

გარდა ამისა, აუდიტის სამსახურმა გამოავლინა, რომ მერიის საკუთრებაში რეგისტრირებულ ავტოსადგომებზე არაუფლებამოსილი პირები ახორციელებდნენ პარკირების საფასურის აკრებას, მაშინ როდესაც მუნიციპალიტეტის გადაწყვეტილებით ავტოსადგომით სარგებლობა ბორჯომის ტერიტორიაზე არის უფასო.

ამასთან, აუდიტის სამსახური ხელოვნურად გაზრდილ შტატებზე მიუთითებს:

„მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ იურიდიულ პირებში არ არის შემუშავებული სათანადო საკადრო პოლიტიკა. თანამშრომელთა ნაწილი ფუნქციურად დაუტვირთავია და ზოგიერთი შტატის არსებობა არ არის ობიექტური საჭიროებებით განპირობებული. შედეგად, ადგილობრივი ბიუჯეტიდან ხორციელდება თანხების არაეკონომიური განკარგვა“.

ამ ფონზე აუდიტის სამსახურმა დაასკვნა, რომ მუნიციპალიტეტის შიდა აუდიტის სამსახური ფუნქცია-მოვალეობებს ასრულებდა არასათანადოდ და ვერ უზრუნველყოფდა მუნიციპალიტეტის წინაშე არსებული რისკების მართვას და შიდა კონტროლის სისტემის გაუმჯობესებას.

გურჯაანი

სახელმწიფო აუდიტმა გურჯაანის მუნიციპალიტეტის 2018-2019 წლების საქმიანობა შეისწავლა და აღმოაჩინა, რომ ინფრასტრუქტურული პროექტების შესრულებასა და კონტროლში არსებული დარღვევების შედეგად, მუნიციპალიტეტმა ვერ უზრუნველყო პროექტების განხორციელება ხელშეკრულების პირობების შესაბამისად. ცხრა ხელშეკრულების ფარგლებში შესრულებულ 527.3 ათასი ლარის ღირებულების ინფრასტრუქტურულ პროექტებს აღენიშნება სხვადასხვა ხარვეზი და პროექტების მდგომარეობა მოკლე პერიოდში გაუარესებულია.

გარდა ამისა, მუნიციპალიტეტმა ელექტრონული ტენდერებით შესყიდვის განხორციელებისას, დაბალი ფასის წარმომდგენ პრეტენდენტებს დისკვალიფიკაცია მიანიჭა დაუსაბუთებლად და ხელშეკრულება გააფორმა მაღალი ფასის წარმომდგენ პრეტენდენტებთან, რითაც დაკარგა 47.5 ათასი ლარის სატენდერო ეკონომიის მიღების შესაძლებლობა.

დასკვნის მიხედვით, მოსახლეობის წყალმომარაგება ძირითადად ხორციელდება შეფერხებით და დადგენილი სტანდარტების შეუსაბამო წყლით. მუნიციპალიტეტში მცხოვრები 25,087 ოჯახიდან 21,444 ოჯახს წყალი მიეწოდება გრაფიკით. პრობლემა ატარებს სისტემურ ხასიათს, თუმცა მუნიციპალიტეტს სათანადო ღონისძიებები არ გაუტარებია.

აუდიტის სამსახურმა აღმოაჩინა, რომ მუნიციპალიტეტის მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების განსახორციელებლად გამოყენებული სამორიგეო სატრანსპორტო საშუალებების რაოდენობა აღემატება მთავრობის დადგენილებით რეკომენდებულ ზღვრულ ოდენობას. მუნიციპალიტეტი შვიდი სამორიგეო ავტომანქანის ნაცვლად, 2018 წელს სარგებლობდა 11, ხოლო 2019 წელს – 18 მუნიციპალური ან თანამშრომლების საკუთრებაში არსებული ავტომანქანით. მერიას არ გააჩნია რაციონალური მიდგომა საწვავის ხარჯვასთან დაკავშირებით, რაც იწვევს საბიუჯეტო ასიგნებების არაეკონომიურ ხარჯვას.

როგორც დასკვნაშია მითითებული, მუნიციპალიტეტის მიერ დაწესებული კონტროლის მექანიზმები კუთვნილი შემოსავლების ადმინისტრირების მხრივ სათანადოდ არ ფუნქციონირებს:

– მუნიციპალიტეტმა იჯარით გაცემული ქონებიდან 2019 წლის ბოლოსთვის ვერ მიიღო კუთვნილი შემოსავალი 55 ათასი ლარის ოდენობით;

– ბიუჯეტში მოგილიზებულმა დასუფთავების მოსაკრებელმა 22.6 ათასი ლარი შეადგინა, რაც ბიუჯეტით დაგეგმილის მხოლოდ 29%-ია.

დმანისი

როგორც ირკვევა, გამოვლენილი დარღვევების თვალსაზრისით უკვე მიმოხილულ მუნიციპალიტეტებს არც დმანისი ჩამორჩება. სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა მუნიციპალიტეტის ანალოგიური პერიოდის საქმიანობა შეაფასა და აღმოაჩინა, რომ მუნიციპალიტეტში არსებობს როგორც ფინანსური რესურსების, ასევე დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტების მართვის ხარვეზები: მუნიციპალიტეტმა ვერ უზრუნველყო არაფინანსური აქტივების ზრდის პარამეტრების სათანადოდ დაგეგმვა, რის გამოც შესაბამისი საბიუჯეტო მუხლის შესრულებას 2018 წელს დააკლდა 76%, ხოლო 2019 წელს – 37%.

ამასთან, დასკვნის მიხედვით, ინფრასტრუქტურული პროექტების შესყიდვის პროცესში არსებული კონტროლის სისუსტეების შედეგად, სამი ხელშეკრულების ფარგლებში შესრულებულ 890.3 ათასი ლარის ღირებულების ინფრასტრუქტურულ ობიექტებზე აღინიშნება ხარვეზები და მათი მდგომარეობა მოკლე პერიოდში გაუარესებულია.

გარდა ამისა, ქონების განკარგვის პროცესში არსებული ხარვეზების გამო, მუნიციპალიტეტმა ვერ მიიღო საიჯარო შემოსავალი და საურავი 195.5 ათასი ლარის ოდენობით.

ირკვევა, რომ წყალმომარაგების პრობლემები დმანისშიცაა: მოსახლეობის წყალმომარაგება ზოგ შემთხვევაში ხორციელდება შეფერხებით, სასმელი წყალი არ იწმინდება და მისი ხარისხი არ მოწმდება. მუნიციპალიტეტს არ გაუტარებია სათანადო ღონისძიებები აღნიშნული საკითხის გადასაწყვეტად და არ შეუმუშავებია სამოქმედო გეგმა.

თელავი

აუდიტის დასკვნის მიხედვით, როგორც ფინანსური რესურსების, ასევე დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტების მართვის ხარვეზები არსებობს თელავის მუნიციპალიტეტშიც: მუნიციპალიტეტმა ვერ უზრუნველყო არაფინანსური აქტივების ზრდის პარამეტრების სათანადოდ დაგეგმვა და შესრულება, რის გამოც შესაბამისი საბიუჯეტო მუხლის შესრულებას, შესაბამისად, 33.9% და 27.6% დააკლდა.

საყურადღებო მიგნებაა ტენდერებთან მიმართებაში. კერძოდ, დასკვნის მიხედვით, სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებისას, კონტროლის სისუსტის გამო, მუნიციპალიტეტმა სატენდერო პროცესი წარმართა იმგვარად, რომ დაბალფასიანი სატენდერო წინადადების მქონე პრეტენდენტი არასამართლიანად იქნა დისკვალიფიცირებული. შედეგად, შესყიდვის ღირებულება 37.8 ათასი ლარით გაიზარდა, რაც არაეკონომიურად განკარგული საბიუჯეტო რესურსია. ამასთან, ირკვევა, რომ მუნიციპალიტეტმა 291.3 ათასი ლარის ღირებულების ინფრასტრუქტურული პროექტის მოწყობაში არაეფექტიანად დახარჯა საბიუჯეტო სახსრები და ვერ მიაღწია პროექტის განხორციელებით დასახულ მიზანს.

სასმელი წყლის პრობლემა: მოსახლეობის წყალმომარაგება ზოგ შემთხვევაში ხორციელდება შეფერხებით და დადგენილი სტანდარტების შეუსაბამოდ, სასმელად უვარგისი წყლით, თუმცა მუნიციპალიტეტს არც სათანადო ღონისძიებები გაუტარებია პრობლემის გადასაწყვეტად და არც სამოქმედო გეგმა შეუმუშავებია. ამასთანავე, წყლის სისტემების მოვლა-პატრონობის მომსახურების შესყიდვაში არსებული კონტროლის სისუსტეების შედეგად, 21.8 ათასი ლარის საბიუჯეტო სახსრები ზედმეტად არის ანაზღაურებული.

ამასთან, ირკვევა, რომ მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონებით სარგებლობენ არაუფლებამოსილი პირები. შედეგად, მუნიციპალიტეტის მიერ ქონების განკარგვა ხორციელდება არაპროდუქტიულად და ბიუჯეტი კარგავს კუთვნილი შემოსავლების მიღების შესაძლებლობას.

დასკვნის მიხედვით, მერიას არ გააჩნია რაციონალური მიდგომა საწვავის ხარჯვასთან დაკავშირებით, რაც ხელს უწყობს საბიუჯეტო ასიგნებების არაეკონომიურ და არარაციონალურ ხარჯვას.

ბედია, ბესლეთი, დრანდა

ალბათ, ესეც ბედია,
ზეცით ნაბოძები,
რომ შენ გერგო ბედია,
ბაგრატ მეფის ძვლები.

ალბათ, ესეც განგების
წყალობაა დიდი:
ბესლეთს შერჩა განგებ ის -
თამარ მეფის ხიდი!

იმერთა და ამერთა,
აფხაზთა და რანთა,
სულის სუფთა კამერტონს
რომ გვაგონებს დრანდა,

ესეც, ესეც ბედია,
წყალობაა ესეც!.. –
გადასძახებს ბედია
დრანდასა და ბესლეთს.

წლების მხრებზე ისხედით
კვადრატო და კუბო.
შეინახეთ ის ხიდი,
ტაძარი და კუბო!

აფხაზური ეტიუდი

ოდა და ფაცხა აფხაზური,
მეგრულ-ჭანური,
ჭა, ოწინარი, აკვანი და იავნანური.

წინ – დიდი ეზო, ეზოს ირგვლივ
ტრიფოლიატი,
რკინის ჭიშკართან დასკუპული
თეთრი „ფიატი“.

თბილი დარია... მწიფს ციტრუსი,
შრება თამბაქო...
ზღვის ჰორიზონტზე ჩამავალ მზეს
გაჰმზერს ამბაკო.

შუქურა

რაც საუკუნოდ უარვყავი ფერები
მუქი,
ველურ ნაპირზე ვარ შუქურის
მომვლელი, მცველი.
აქ იქნებ გემი არც გამოჩნდეს
მრავალი წელი,
მაგრამ მე მაინც უნდა მენთოს
ნიადაგ შუქი.

გურის

ახლა გავამხელ, რასაც გული
ნიადაგ წუხდა:
გზა სამშობლოსკენ, კიევში რომ
ერთად დავხაზეთ,
საუბედუროდ, თითქმის ვეღარ
გასცდა აფხაზეთს,
ბაბუშერასთან დაიწყო და
დასრულდა რუხთან.

ო, როგორ უნდა დამღარვოდა
ფიქრებით სახე,
რამდენი წელი ღამეები თეთრად
მეთია,
რომ მეთქვა შენთვის, ის ქვეყანა,
რომელიც ნახე,
საქართველოა და სახელად –
აფხაზეთია!

1970 წელი. თოვლი სოხუმში

რამაზ კუპრავას ხსოვნას

სოხუმში თოვდა... ეს უკვე იყო
სიხარულის და თრთოლვის საბაბი.
ზეცის ვერცხლისფერ გუმბათს ეკიდა
უზარმაზარი ღრუბლის ღაბაბი.

და შეჰხაროდნენ ფართო ფანტელებს
სასტუმრო „რიწა“ და „აფხაზეთი“.
და თოვლზე როგორც
დღესასწაულზე,
წერდა ანშლაგით დილის გაზეთი.

ვით საპატიო რიგში ელჩები,
პორტში ქათქათა იდგნენ გემები.
საკარნავალო არნახს ჰგავდა
ქალაქი უხვად თოვლნაგემები.

ხალხს სამსახური აღარ ახსოვდა,
იყო სრიალი და გუნდაობა,
და ჟრიამულით ავსებდა ქუჩებს
თოვლით შეკრული ყველა თაობა.

ო, სწორედ იმ დღეს მივიდა, ალბათ,
სითბო ყველაზე დახშულ გულებთან!
ჩვენ არ გვახსოვდა არც მზე და
არც ზღვა
და მხოლოდ თოვლი
გვასულდგმულებდა.

ბედნიერება გვეგონა მაშინ
იმ სითეთრეში თვალის გახელა.
თოვდა, თოვდა და ირგვლივ
ყველაფერს
ჯერ საქართველო ერქვა სახელად.

კამაჭიჭი

ჩემს თანაკაგუფელს, ქართველ აფხაზს, საქართველოს დამოუკიდებლობის აქტზე ხელისმომწერ ანზორ კუდგას, რომელსაც სტუდენტობისას ქართული შრიფტით დაგეჯდილი დიმიტრი გულიას რომანი „კამაჭიჭი“ ვაჩუქე. ქართული ანბანი ზედგამოჭრილი იყო აფხაზური ტექსტისთვის.

კამაჭიჭი აფხაზი ქალწულია
კამაჭიჭმა ქართულიც იცის.
მისი ცხოვრების გზაწნულია
გზები ბზიფისა და რიწის.

კითხულობ ქართულად დაქარგულ
აფხაზურ რომანს და გიხარია,
რომ თვალი ვერ ხედავს დაკარგულ
სივრცეს გალავნიან-ტიხარიანს.

სამშობლო, ჯერ კიდევ ერთიანი,
ფსოუდან ალაზნამდე გაჭიმულა.
(პეტერბურგს მიაქანებს ფეთიანი
ცხენი უკვე თავმოჭრილ ჰაჯი-მურატს!)

ჩვენ ვართ უკაპიკო, ქესატები,
მაგრამ გულის სიმი გვესაკრავა
და თითქოს კიდეც ემზდები
დიდ აქტზე ირაოს შესაკრავად.

კვლავ იელვებს ძველი შუქი

ერთმანეთში აგვრევია
ხარხარიც და ყვირილიცა,
ქართულ ტაძრებს კირთან ერთად
მოსდებია კირილიცა.

ვაი, ჩემო ილორო და
ვაი, ჩემო ბედიაო,
ის მღებავნი ჯიშით, რწმენით
ნუთუ თქვენზე მეტიაო!

ღმერთი ხედავს, ღმერთმა იცის,
ღმერთს არ გამოეპარება,
რომ ქართულ მზეს ღრუბლის
ჩრდილი
ცოდვის გამო ეფარება.

ცოდვის, ჩვენ რომ ჩავიდინეთ
ჩვენს თავთან და არა სხვებთან,
ამიტომაც დავისაჯეთ,
მაგრამ უკვე კმარა მსხვერპლთა

გაღება და თავზე ნაცრის
დაყრა ნიჩბით, ტაშტით, სათლით.
ჯერ ნუ ვიტყვით სახვალიო
ტაძრებისთვის ლოდებს სად ვთლით,

მაგრამ ვთალოთ და როდესაც
მტერს გაუყრის ბედი ისარს,
კვლავ იელვებს ძველი შუქი
ილორის და ბედიისა!

დიოსკურიის სიზმარი

დაღლილი მთვარე ძლივს ანათებს,
ძილი სწყურია,
მსუბუქ ნიავში მდაბლად უკრავს
ტუიის ხე თავს
ცხუმის ნაპირებს და ბებერი
დიოსკურია
უშორეს სიზმრებს აიეტის ენაზე ხედავს.

თითქოს მგზავრები ჩამოდიან
თეთრი გემიდან
და საპატიო ყარაულში დგანან
პალმები.
რიდეს იცილებს თვალებიდან
მკაცრი თემიდა
და მის განაჩენს მე მგზნებარედ
მივესალმები.

ენგური

ჩემი სიყრმის მეგობარს,
პროფესორ ტიტე მოსიას

მყინვარებიდან მოედინები,
მოამტვრევ ტინებს ნაფოტ-ნაფოტად.
არ გეყოფოდა შენ კალაპოტად
ეს პროსპექტები და მოედნები.

ვით ტუსაღს ტანზე კვალი ტატუსი,
შენც დაგტყობია რუსის „უკაზი“
და გახსენებენ საზღვრად რუკაზე -
გამოგიცვალეს თურმე სტატუსი.

ბედნიერი ხარ... არ იცი შენ ეს
და მოაგორებ ტალღას ტალღაზე...
და უკვირთ, უკვირთ ბიჭებს მალხაზებს,
კედელი რატომ ამოაშენეს

მათ შორის... წყლის და ქვების კედელი...
რატომ დგას უცხო გუშაგი ხიდთან,
რატომ სულდგმულობს, ვინც მამულს
ჰყიდდა
და იყო ქრისტეს ფეხის მკვნეტელი?..

დამსგავსებია სული ჩაიდანს:
თუხთუხებს, უსტვენს, ამოსდის
ორთქლი...
და შენც ამ ექოს მოგუდულ
მოთქმის -
შენს შავ საფლავში - ზღვაში ჩაიტან!

მოქვი

ბაბუა ცხოვრობდა მოქვში,
მოქვშია საფლავი მისი.
იქიდან მოფრენილი მიმინო
მე თითქოს მარჯვენაზე მიზის.

შამბმა გადაფარა, ალბათ,
ბაბუას საფლავი ტაძართან,
რომელმაც გუმბათის ქიმი
ზეცად ისარივით აწვართა.

იქ ახლა სხვა ტომი ბინადრობს -
მოდგმა მონღოლის თუ სკვითის.
უკვე ოცდაშვიდი წელია,
ტაძრისკენ გზა აღარ მიდის.

ქართველი დედა

ჩემი და აფხაზ ბიჭუნას ზრდიდა,
ის იყო ძიძა, დედა და დიდა!*

ჩემს ერთადერთ დას შვილი არ ჰყავდა
და დედურ გრძნობებს გულში მარხავდა.

მერე კი იმ ბიჭს უძღვნა მთლიანად,
მაგრამ პასუხმა დააგვიანა –

ჩემი დევნილი, სნეული დაი
შეხვდა ძველ ქოხში ცხოვრების დაისს.

თითქოს იყო და არა იყო რა –
წავიდა დაი, თან გაიყოლა

გაზრდილზე დარდი... თუ ახსოვს, ნეტავ,
გაზრდილს გამზრდელი –
ქართველი დედა?

* დიდა (მეგრ) – დედა

ლექსები აფხაზეთზე

რაულ ჩილაჩავა

ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲘ ᲬᲘᲒᲜᲘᲓᲐᲜ „ᲒᲐᲚᲦᲐ ᲜᲐᲞᲘᲠᲘ“



წინამდებარე ლექსები გაუნელებელი ქართული სევდის ტკივილიანი გორგალია, სიყვარულისა და მონატრების, სიხარულისა და გლოვის განუყოფელი ნასკვი, ტრაგიკული ჩუქურთმაა წინაპართა მიერ საუკუნეების მანძილზე ნალოლიავები ქართულ-აფხაზური ტაძრის პორტალზე. ავტორს პოეტურ სტრიქონებად გადაუდნია ხსოვნის წიაღიდან რუდუნებით ამომზევებული მოგონებები, გაუცოცხლებია თანამედროვეთა და მითოლოგიურ გმირთა სახეები, სული ჩაუბერავს ჩვენი თვალსაწიერიდან თითქოს გამქრალი განუმეორებელი ბუნებისთვის, სადიდებელი უთქვამს ორი ქართული ნაპირის ისტორიული ერთობისთვის, რომლის ვერაგულად გახლეჩაც ჩაუფიქრებია მესამე, უხეშ და სასტიკ ძალას. პოეტი, რომლისთვისაც აფხაზეთი მისი ერთიანი სამშობლოს განუყოფელი ნაწილია, ღირსეულ პატივს მიაგებს აფხაზურ ეთნოსს, მის წარსულსა და ტრადიციებს, ხაზს უსვამს იმ საერთოს, რაც გვქონდა და რაც, იმედია, გვექნება კვლავაც.

აქ წარმოდგენილი ლექსების ერთგვარი თავისებურება ისიცაა, რომ არაერთი მათგანი დოკუმენტური სინამდვილითაა ნასაზრდოები. ავტორს ბევრი რამ აკავშირებს აფხაზეთთან: პირადი ბიოგრაფია, შემოქმედებითი ურთიერთობები, სამეგობრო, პაპის საფლავი მოქვის ტაძრის ეზოში, საქართველოს დამოუკიდებლობის აქტზე ხელისმომწერი თანაკაგუფელი ქართველი აფხაზი და გადამთიელთა მიერ დახვრეტილი ქართველი თანაკურსელი, დრანდიდან დევნილი და, რომელიც აფხაზ ბიჭუნას ზრდიდა, ავტოკატასტროფაში დაღუპული პირმშო, რომელიც სამშობლოში პირველად ჩამოვიდა და შინამდე ვერ ჩააღწია, ის საქართველო კი, რომელიც სოხუმის აეროპორტიდან რუხის ხიდამდე ნახა, აფხაზეთი იყო.

19 ᲓᲕᲐᲜᲔᲚᲘ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲤᲔᲓᲔᲠᲐᲪᲘᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒ

„ᲛᲔᲝᲛᲐᲠᲘ რომ ომში იარაღის გარეშე გაუშვა, ასეა სოფელში მცხოვრები ადამიანი მიწის გარეშე. გამყოფ ხაზთან მცხოვრებ ხალხს რაც ყველაზე მეტად გვტკივა და განვიცდით, ესაა მორალურ- ფსიქოლოგიური ზეწოლა, როცა ყოველ დილით მავთულხლართებს მიღმა შეიარაღებულ ხალხს და ჩვენს მიწას ვხედავთ. უსასოობის განცდა, რაც აქამდე მქონდა, თითქოს ახლა მომეხსნა. სტრასბურგი განიხილავს ჩვენს საქმეს და თუ მოვიგეთ — თუმცა აუცილებლად მოვიგებთ, იმიტომ რომ სიმართლე ჩვენს მხარეს არის — და რუსეთმა თუნდაც არ შესარულოს ის დაკისრებული სანქციები, იმის განცდა მაინც გვექნება, რომ ვიბრძოლეთ და მონურად არ დავუხარეთ თავი. ამ სასამართლოს გადაწყვეტილება, მოგების შემთხვევაში, პრეცედენტული იქნება, იმიტომ რომ რუსებს ამის შემდეგ ეცოდინებათ, რომ სადღაც ვიღაც დაუძახებს და პასუხს მოსთხოვს“.

— ეს სიტყვები „რადიო თავისუფლებას“ სოფელ დვანის მკვიდრმა მურთაზ მამაგულაშვილმა მას შემდეგ უთხრა, რაც გაიგო, რომ სტრასბურგის სასამართლომ დაზარალებული დვანელების საქმის განხილვა დაიწყო.

მურთაზ მამაგულაშვილი ერთ-ერთია იმ 19 დვანელიდან, ვინც რუსეთის ფედერაციას სტრასბურგის ადამიანის უფლებათა სასამართლოში უჩივლა. მურთაზი ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ დვანში 1 ჰექტარ მიწის ნაკვეთს ფლობდა. ამ მიწის ნაწილზე ხეხილი იყო გაშენებული, ნაწილს კი თავთავიანი კულტურებისა და ბოსტნეულის მოსაყვანად იყენებდა. 2013 წელს მის ნაკვეთში რუსეთის საოკუპაციო ძალებისა და ეგრეთ წოდებული დე ფაქტო სამხრეთ ოსეთის სასაზღვრო სამსახურის წარმომადგენლები გამოჩნდნენ. მურთაზს უთხრეს, რომ ეს მიწა მას აღარ ეკუთვნოდა და მავთულხლართებით შეღობეს. მურთაზმა და მისმა თანასოფლელებმა სამართლის ძებნა დაიწყეს, მათ ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია დაეხმარა და სარჩელი სტრასბურგში გაიგზავნა.

„შეურაცხყოფილები ვიყავით და უსამართლობის განცდა გვქონდა. ფაქტიურად, მიწის და საარსებო საშუალების გარეშე დავრჩით. სამართლიანობის აღდგენა გვინდოდა. რატომ არ უნდა დაისაჯოს მოძალადე და რატომ არ უნდა მოგვეთხოვა ჩვენი წინაპრების დანატოვარი მიწა?! უსამართლობის განცდა იყო ის მოტივაცია, რის გამოც მივმართეთ სტრასბურგის სასამართლოს. ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია დაგვეხმარა ძალიან“.

დვანელები თითქმის რვა წლის განმავლობაში ელოდნენ სტრასბურგიდან ცნობას იმის შესახებ, რომ მათი საქმის არსებითი განხილვა დაიწყო. „ბორდერიზაციის“ შედეგად დაზარალებულთა საქმის განხილვა 2021 წლის 5 თებერვალს დაიწყო, რის შესახებაც სასამართლომ მომჩივნებს და რუსეთის ფედერაციას, როგორც მოპასუხე სახელმწიფოს, 2021 წლის 24 თებერვალს შეატყობინა.

რამაზ მედოიძემაც, დაახლოებით, ერთი ჰექტარი მიწის ნაკვეთი დაკარგა. მას დიდი იმედი არა აქვს, რომ რუსეთი კერძო საკუთრების ხელყოფისთვის კომპენსაციას გადაიხდის, მაგრამ, მისი აზრით, საოკუპაციო ხაზთან რუსეთის ქმედებების შესახებ მსოფლიო კიდევ ერთხელ გაიგებს.

„ფართობი ერთი ჰექტარის ფარგლებში იყო. სასამართლოს მოლოდინზე რა გითხრათ, — რუსეთი იმას აღიარებს, მიწა წავართვი და კომპენსაციას გადავუხდიო? არ ვიცი, აბა, რა ვიფიქრო. მაშინ ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის წარმომადგენლები იყვნენ მოსულები. აქვე გამოგვკითხეს და ჩაიწერეს რაღაცები. მერე ჩვენც ჩავედით თბილისში. ძალიან დაგვეხმარნენ. შეიძლება რუსეთმა კომპენსაცია არც გადაიხადოს, მაგრამ მთელი მსოფლიოს წინაშე ფაქტის გახმაურებაც კი დიდი რაღაცაა“.

ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ 25 თებერვალს გავრცელა ინფორმაცია, რომ სტრასბურგის სასამართლო დაზარალებული დვანელების საქმის განხილვას იწყებს. საიას ინფორმაციით:

„2013 წლის სექტემბერ-ოქტომბერში სოფელ დვანში რუსი და ოსი „მესაზღვრეების“ მიერ ე.წ. ადმინისტრაციული საზღვრის მონიშვნის მიზნით მავთულხლართების გავლებამ გამყოფი ხაზი 400-600 მეტრით გადმოსწია, რის გამოც დვანის 50-მდე ოჯახის კუთვნილი 80-მდე ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო მიწები და 3 ოჯახის საცხოვრებელი სახლი ე.წ. საზღვრის მიღმა აღმოჩნდა. მოსახლეობა ამ მიწებს 2013 წლის ოქტომბრამდე ამუშავებდა და მიწიდან მიღებულ მოსავალს ოჯახისა და შინაური პირუტყვის გამოსაკვებად იყენებდა. ზოგიერთი ოჯახი მიწაზე მოყვანილ მოსავალს ყიდდა, რაც მათი ოჯახების შემოსავლის ძირითად წყაროს წარმოადგენდა. მიწებზე წვდომის დაკარგვის შედეგად ოჯახებმა მნიშვნელოვანი ზიანი განიცადეს, რადგან ისინი მავთულხლართების გამო მომავალში ამ მიწების დამუშავებას ვეღარ შეძლებენ.

მავთულხლართების გავლების შედეგად დაზარალებული 19 ადამიანის სახელით საიამ ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში რუსეთის წინააღმდეგ საჩივარი 2014 წლის 11 აპრილს გაგზავნა. წარდგენილ საჩივარში საია დვანის მცხოვრებთა მიწაზე და საცხოვრებელ სახლებზე საკუთრებით შეუფერხებელი სარგებლობის უფლების (ევროპული კონვენციის 1 დამატებითი ოქმის 1 პუნქტი), მიმოსვლის თავისუფლებისა (მე-4 დამატებითი ოქმის მე-2 მუხლი) და სამართლებრივი დაცვის ეფექტიანი საშუალების უფლების (ევროპული კონვენციის მე-13 მუხლი) დარღვევაზე დავობს“.

ᲒᲝᲒᲐ ᲐᲤᲪᲘᲐᲣᲠᲘ,
„რადიო თავისუფლების“
კორესპონდენტი შიდა ქართლში.

ᲠᲣᲡᲔᲗᲘ ᲒᲐᲚᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲬᲔᲑᲖᲔ ᲰᲐᲔᲠ-ᲡᲐᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒᲝ ᲗᲐᲕᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲗᲐᲕᲡᲔᲑᲐᲡ ᲒᲔᲒᲛᲐᲕᲡ!

ᲡᲐᲜᲐᲛ სამარცხვინო შიდა ომებით დაკავებულ თბილისს არ სცალია, რომ რეგიონში ყარაბაღის მეორე ომის შემდეგ შექმნილ სახიფათო რეალობაში ჯერ-ოვანი სამოქმედო გეგმა და სხვა უამრავ მნიშვნელოვან გამოწვევასთან გასამკლავებლად საჭირო ნაბიჯები განსაზღვროს, კრემლი დროს არც საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებში კარგავს. მერამდენე თვეა, სოხუმის მესიჯები თბილისთან დიალოგისა და თანამშრომლობის თაობაზე უპასუხოდ რჩება. მოსკოვმა კი ამასობაში აფხაზების წინაშე „მეგობრისა და სტრატეგიული პარტნიორის“ ნიღაბი საბოლოოდ ჩამოიხსნა და ღია ანექსიაზეა გადასული.

„ᲐᲥᲪᲔᲜᲢᲘ“ მთელი ამ თვეების განმავლობაში ამაოდ ცდილობს საქართველოს ხელისუფლების ყურადღების მიპყრობას ოკუპირებულ რეგიონში მიმდინარე საგანგაშო პროცესებისადმი. არადა, მოვლენები უკვე ელვის სისწრაფით ვითარდება. თანაც მომენტი, როცა რუსული საფრთხის პირისპირ მარტოდ აღმოჩენილმა აფხაზებმა თბილისს მიაპყრეს მზერა, შესაძლოა, აღარასოდეს განმეორდეს.

ჩვენი მასალების ქვეშ ხშირად ვკითხულობთ კომენტარებს, „სიახლე რაში მდგომარეობს? — აფხაზეთი ხომ ისედაც დიდი ხანია, რუსეთის კონტროლსაა დაქვემდებარებულია“— მსგავსი მოსაზრება შესაძლოა, მხოლოდ მათ გაუჩნდეთ, ვინც იქ არსებული ვითარების შესახებ ზედაპირულ ინფორმაციასაც კი არ ფლობს და წარმოდგენა არა აქვს იმ უდიდეს სხვაობაზე, რომელიც რუსეთისა და საკუთარი „დამოუკიდებლობის“ მიმართ მიდგომებში აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონს შორის არსებობს.

სინამდვილე ისაა, რომ რუსეთი ოკუპაციიდან ანექსიაზეა გადასული და ფორსირებულად, ერთი მეორის მიყოლებით დგამს ნაბიჯებს, რომელიც აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიას ახლა უკვე საკანონმდებლო დონეზე აქცევს მის საკუთრებად. ამ მიზნით სოხუმს ჯერ კიდევ 2019 წლის ბოლოს, რაულ ხაჯიმბას რეჟიმის დროს გამოეგზავნა „კანონმდებლობების ჰარმონიზაციის საფუძველზე ერთიანი სოციალურ-ეკონომიკური სივრცის ფორმირების“ 46-პუნქტიანი პროგრამა, რომლის საკვანძო პუნქტები რუსეთის მოქალაქეებისთვის აფხაზეთის ე.წ. მოქალაქეობის მინიჭების, რუსეთის მოქალაქეებზე მიწებისა და უძრავი ქონების, ასევე ენერგეტიკული და სხვა სტრატეგიული ობიექტების გასხვისების აკრძალვის გაუქმებას ითვალისწინებს.

ახალი — ასლან ბჟანიას დე ფაქტო ხელისუფლება დროს მაქსიმალურად წელავდა და უკანასკნელი ძალებით ეწინააღმდეგებოდა პროგრამას, რომელიც აფხაზეთს საბოლოოდ აქცევს რუსეთის საკუთრებად. თუმცა მოსკოვი მისთვის ჩვეული მანერით დაუფარავ პრესინგზე გადავიდა: პანდემიის პირობებში აფხაზეთს დაფინანსება შეუწყვიტა, რისკ-ჯგუფში მყოფ პენსიონერებს ბარათებით სარგებლობა აუკრძალა და კუთვნილი თანხების მისაღებად საბანკო ფილიალებთან გრძელ რიგებში დგომა აიძულა, საკურორტო სეზონზე ფსოუზე დე ფაქტო საზღვარი ჩაკეტა და ა.შ. აფხაზები ეჭვობენ, რომ ტყის ამასწინანდელი ხანძრებიც რუსული დივერსია იყო, მოწყობილი მას შემდეგ, რაც დე ფაქტო ხელისუფლება თურქეთს იქიდან შემოსატანი მედიკამენტებისა და სამედიცინო აღჭურვილობის საფასურის ხე-ტყით გადახდაზე მოურიგდა. ეჭვებს უჩენთ მათ რუსეთის ტერიტორიაზე გადამცემ ხაზ „კავკასიონის“ ხშირი გათიშვებიც იმ პირობებში, როცა ენგურჰესი სარემონტოდაა გაჩერებული და აფხაზეთი სრულადაა დამოკიდებული რუსეთიდან დენის გადადინებაზე. ერთი სიტყვით, „სტრატეგიული პარტნიორი“ ყველაფერს აკეთებს აფხაზეთის კუთხეში მოსამწყვდევად“.

გასულ კვირას მორიგი საგანგაშო ინფორმაცია მივიღეთ: აფხაზეთის ეკონომიკური განვითარების დე ფაქტო მინისტრ კრისტინა ოზგანს, რომელიც მოსკოვში იყო ჩასული, წლების წინ გამოყოფილი ე.წ. სარკინიგზო კრედიტის (რომლითაც, სხვათა შორის, არაფერი გაკეთებულა და აფხაზებს რეალურად, ეს თანხა არც მოუხმარიათ) ერთიანად დაბრუნება მოსთხოვეს, ხოლო როდესაც „მინისტრისგან“ მოისმინეს, რომ აფხაზურ მხარეს საამისოდ თანხა არ გააჩნია, კრედიტის, ასე ვთქვათ, ნატურით — აფხაზური სარკინიგზო მონაკვეთის რუსეთის საკუთრებაში გადაცემით დაფარვა „შესთავაზეს“.

და უკანასკნელი საგანგაშო ინფორმაცია: მცოცავი ოკუპაცია, რომელსაც რუსეთი დღემდე ცხინვალის რეგიონის მიმართულებით ახორციელებს, მოსკოვმა ახლა აფხაზეთის ტერიტორიაზე წამოიწყო. კერძოდ, რუსეთის ФСБ-ს ძალებმა ცოტა ხნის წინ დანარჩენ საქართველოსთან დე ფაქტო საზღვრის მთელ პერიმეტრზე, ახლა უკვე აფხაზეთის ტერიტორიის სიღრმეში 1,5 კმ-ის სიგანის ზოლი „მოინიშნეს“ — მთელ ამ ზოლზე გავლებულია მავთულხლართები, მონტაჟდება საფორტიფიკაციო ნაგებობები. დაწყებულია მოსახლეობისთვის გაურკვეველი დანიშნულების სხვა ობიექტების მშენებლობაც, რომელიც, როგორც „აქცენტს“ დე ფაქტო ხელისუფლებიდან ინფორმირებულმა წყარომ აცნობა, რეალურად, ახალი სამხედრო ობიექტები იქნება. მისივე ინფორმაციით, ამ ზოლში დაგეგმილია ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემების განთავსებაც.ცხინვალის რეგიონის მიმართულების მსგავსად, აქაც მავთულხლართმა რამდენიმე ადგილობრივი მოსახლის საკარმიდამო ნაკვეთებზე გაიარა. უკვე აღირიცხა რამდენიმე შემთხვევა, როცა „აკრძალულ“ ტერიტორიაზე შესული საქონლის გამოსაყვანად გადასული ადგილობრივები დააკავეს და ოჯახებს მათ გასათავისუფლებლად თანხა მოსთხოვეს... თუმცა ეს ყველაფერი ხდება „სადღაც შორს“, თბილისიდან რომ არ ჩანს. ამიტომაც საჩქარო არაფერია — ჯერ შიდა ომებს მოვრჩებით და მერე მივხედოთ.

„ᲐᲥᲪᲔᲜᲢᲘ“

ხმა მუხის ფანდურისა...

ირაკლი თოიძე, „ი. ჯუღაშვილი ლექსს უკითხავს ილია ჭავჭავაძეს „ივერიის“ რედაქციაში“

..ამჯერად თვითონ გადაწყვიტა, პირადად ხლებოდა „ივერიის“ რედაქტორს თბილისის სასულიერო სემინარიის პირველი კურსის მსმენელი და უშუალოდ მისთვის გადაეცა ლექსი, რომელიც საპროგრამოდ მიაჩნდა. 1895 წლის დეკემბერი იწურებოდა.

ილია ჭავჭავაძე მაშინ 58 წლისა ბრძანდებოდა. გასროლამდე, აგვისტოს ხვატით დახუთულ წიწამურთან რომ გაისმა, ჯერ კიდევ 12 წელი იყო.

სოსო ჯუღაშვილს კი იმ დღეს, 1895 წლის 21 დეკემბერს, ზუსტად 16 წელი შეუსრულდა.ცხოვრების გზა უკვე არჩეული ჰქონდა, აკი თვითონ წერდა ამის შესახებ მოგვიანებით:

„В революционное движение я вступил с 15-летного возраста, когда я связался с подпольными группами русских марксистов проживающих тогда в Закавказье. эти группы имели на меня большое влияние и привили мне вкус к подпольной марксистской литературе“ (1. И.В. Сталин. Краткая биография, М., 1848, с. 8).

...და მაინც, ილია მისთვის ერთადერთი ღმერთი, შეუვალი ავტორიტეტი იყო.

ლექსი, რომელიც სოსომ მრავალგზის შეასწორა და გადაწერა თავისი გაკრული, მტკიცე ხელით, მომავალი სტალინის ხასიათს რომ მიანიშნებდა, შთაგონებული იყო მაცხოვრის განსაცვიფრებელი ხვედრით, მისი ლოცვით: „მამაო ჩემო! თუკი შესაძლოა, ამცდეს ეს სასმისი: თუმცა არა როგორც მე მნებავს, არამედ როგორც შენ.“ 2 (2. ბიბლია. საქართველოს საპატრიარქო, თბ., 1989, გვ. 987). და კიდევ ილიას წინასწარმეტყველური ლექსით, რომელიც მან წიწამურამდე თითქმის ნახევარი საუკუნით ადრე დაწერა, როცა სულ 21-ისა იყო.

„ლოცვა

მამაო ჩვენო, რომელიცა ხარ ცათა შინა! მუხლმოდრეკილი, ლმობიერი ვდგევარ შენ წინა“: არცა სიმდიდრის, არც დიდების თხოვნა არ მინდა,არ მინდა,ამით შეურაცხ-ვჰყო მე ლოცვა წმინდა..., არამედ მსურს მე განმინათლდეს ცით ჩემი სული, შენგან ნამცნების სიყვარულით აღმენთოს გული, რომ მტერთათვისაც, რომელთ თუნდა გულს ლახვარი მკრან, გთხოვდე: „შეუნდე, — არ იციან, ღმერთო, რას იქმან!“3 (3. ილია ჭავჭავაძე. რჩეული ნაწარმოებები, ტომი 1, თბ., 1985, გვ.35.)

ზოგს ჰგონია, რომ ილიამ თავისი ვერაგული მკვლელობის წინადღეებში დაწერა ეს ნათელმხილველი ლექსი და არა 49 წლის წინ თავის მოწამებრივ აღსასრულამდე. ასევე ბევრს ჰგონია, რომ აკაკის გასაოცრად დაუნდობელი სტრიქონი: „ფურთხის ღირსი ხარ, შენ, საქართველო!“ პოეტმა ილიას მკვლელობის შემდეგ დაწერა. სინამდვილეში ლექსი „ვედრება“ დაწერილია 1864 წელს, ესე იგი, ილიას მკვლელობამდე 43 წლით ადრე. აი, ეს სტროფი:

„უნდა ჩავყლაპო სიტყვები ძალით,
გულს თუ დამადგა, ვერც დავახველო...
ამას კი ვიტყვი, გინდა მომკალით:
„ფურთხის ღირსი ხარ, შენ,
საქართველო!“

თექვსმეტი წლის ჯუღაშვილმა შესანიშნავად იცის, არჩეულ გზაზე რა ელის, რა ძალებს უნდა შეეჭიდოს გორელი მეწუღისა და მრეცხავის შვილი. ისიც კარგად იცის მაცხოვრისა და ილიას მაგალითზე (ილია ჭავჭავაძეს უკვე თავს ესხმიან ნოე ჟორდანია და ფილიპე მახარაძე), რომ ხალხი, ბრბო ძალზე იოლად ციურ „ოსანას“ გალობიდან გადადის ღრიალზე: „ჯვარს აცვუ ეგე!“ ამიტომაც ლექსში, რომელიც სოსოს მიაქვს „ივერიის“ რედაქციაში, არ არის ქრისტესა და ილიას მიმტევებლობა მათ მიმართ, ვინც „გულს ლახვარი ჰკრეს“ ღმერთსა და ღმერთკაცს.

აი, რა უნდა შესთავაზოს თავის კერპს 16 წლის „სოსელომ“:

ამ ქვეყნად იგი, ვით ლანდი,
კარისკარ დაწიალებდა;
ხელთ ეპყრა მუხის ფანდური,
ხმა — ტკბილად აწკრიალებდა;
მის საოცნებო ჰანგებში,
ვითარცა სხივი მზიური,
ისმოდა თვითონ სიმართლე
და სიყვარული ციური.
ბევრს აუძგერა იმა ხმამ
გული, ქვად გადაქცეული;
ბევრს გაუნათლა გონება,
ბნელ-უკუნეთად ქცეული.
მაგრამ დიდების მაგიერ,
სად ჩანგმა გაიწკრიალა,
განდევნილს ბრბომ იქ დაუდგა
შხამით აღსავსე ფიალა...
და უთხრეს: შესვი, წყეულო,
ეგ არის შენი ხვედრიო!
შენი არ გვინდა სიმართლე,
არც ეგ ციური ხმებიო!...“ („ივერია“ №280, 25 დეკემბერი, 1895 წელი,გვ.1.)

ილიას კაბინეტი „ივერიის“ რედაქციაში. როგორ ჰგავს იგი თავის მფლობელს. არაფერია აქ ზედმეტი ამ საკმაოდ დიდ, შუქიან ოთახში. ავეჯი მამაპაპური, სადა, გემოვნებით შერჩეული. საწერი მაგიდა, „ბიურო“, — მკვიდრი, სამუშაოდ რომ განაწყობს ადამიანს. ჭერის შუაგულში — ღვთისმშობელი ჩვილი მაცხოვრით. ორჯერ ეტყვის რედაქტორი ავტორს — დაჯექიო — და სკამზე მიუთითებს, მაგრამ მომცრო ტანის სემინარისტი ფეხზე დგას მაინც, ფორმის ქუდს აწვალებს ანგარიშმიუცემლად და შესცქერის ილიას.

რედაქტორი კითხულობს ლექსს. წაკითხვის შემდეგ თავს წამოსწევს და ყურადღებით დააკვირდება ჭაბუკს; შემდეგ კვლავ უღრმავდება „სოსელოს“ გაკრულ, მტკიცე ხელით დაწერილ სტრიქონებს.

მერე ადგება, მაგიდის წინ მდგარ სავარძელში ჩაჯდება და სემინარისტს მეორე სავარძლისკენ მიუთითებს. ასე სხედან ერთხანს მდუმარედ.

— შენი მუხისფანდურიანი მქადაგებელი ქრისტეა? - დაარღვევს სიჩუმეს ილია.

— არა მარტო... — მოკლედ უპასუხებს სემინარისტი.

კვლავ ხანგრძლივი დუმილი.

— იქნებ „ივერიის“ რედაქტორიცაა, — სევდიანად იღიმება ილია, — „ეს შხამით აღსავსე ფიალა“ უკვე მომართვეს მარქსიზმის თუთიყუშმა ჟორდანიამ და ძმათა მისთა...

— არა მარტო ... — კვლავ მოკლედ უპასუხებს სემინარისტი.

— ახ, ასეცაა საქმე? — წარბს ზეაწევს რედაქტორი და თვალებში ჩახედავს თექვსმეტი წლის ჯუღაშვილს. — თუ სწორად გავიგე, ეს მუხის ფანდური შენც გინდა მოიმარჯვო, ჭაბუკო. მაგრამ რატომ გგონია, რომ მაინცა და მაინც შხამით აღსავსე ფიალა იქნება შენი მეცადინეობის საფასური?

— მათე, თქვენი „ლოცვა“ და აკაკი წერეთლის „ვედრება“ მაქვს წაკითხული, მასწავლებელო.

— მაგრამ მაცხოვარი შეუნდობს თავის ჯალათებს. მეც მის კვალს მივდევ. შენს ლექსში არა ჟღერს ეს მიმტევებლობის უზენაესობა. შენ არ გიყვარს ის „ბრბო“, მუხის ფანდურიან მქადაგებელს შხამით აღსავსე ფიალას რომ მიაწოდებს.

— უფალს თავისი გზა და არჩევანი აქვს, მასწავლებელო. სემინარისტი წამოდგა და მოკრძალებით უთხრა რედაქტორს:

— წავიღებ ლექსს, მასწავლებელო.

— ილიამ პასუხი დააყოვნა. ერთხანს ჩაფიქრდა, მერე კვლავ მიუჯდა საწერ მაგიდას და კიდევ ერთხელ წაიკითხა სემინარისტის უსათაურო ლექსი.

— ლექსი დამიტოვე, ჭაბუკო. რახან მასწავლებელს მეძახი,დაიხსომე ჩემი რჩევა: უსამართლობას სიძულვილითა და სისხლით ვერ აღმოფხვრი. მე რომ ვწერდი , „თავისუფლების მშოვნელი ამ ქვეყნად მხოლოდ თოფია“, ახალგაზრდა ვიყავ, დაუღვინებელი. გულში ღმერთი ჩაისახე. ისაა შვება, სიყვარული და გადარჩენა. კარგად დაიხსომე, ჭაბუკო.

... ოთხი დღის შემდეგ, 1895 წლის 25 დეკემბერს, გაზეთ „ივერიაში“,პირველ გვერდზე დაისტამბა „სოსელოს“ უსათაურო „ამ ქვეყნად იგი, ვით ლანდი...“

გიორგი სტურუა.
24 თებერვალი, 2021 წ.

რეპრესირებული მწერლების მუზეუმი მწერალთა სახლში

2021 წელს, საბჭოთა ოკუპაციიდან 100 წლის შემდეგ, მწერალთა სახლში რეპრესირებულ მწერალთა მუზეუმი გაიხსნება.

რეპრესირებულ მწერალთა მუზეუმის მხარდამჭერია „თბილისი — იუნესკოს წიგნის მსოფლიო დედაქალაქი 2021“.

„1921 წლის თებერვალში საქართველოს გასაბჭოებიდან მესამე დღეს, 28 თებერვალს, საქართველოს რევოლუციურმა კომიტეტმა დავით სარაჯიშვილის სახლი, პაოლო იაშვილის ინიციატივითა და საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებით, ქართველ მწერლებსა და ხელოვანებს გადასცა. მიუხედავად იმისა, რომ შენობა ქართველ მწერლებსა და ხელოვანებს რევკომმა გადასცა, მოგვიანებით, იმავე რეჟიმს ამ კედლებშივე გამოჰქონდა განაჩენი მწერლებისა და პოეტებისთვის. ამიტომაც ნიშანდობლივია, რომ რეპრესირებული მწერლების ხსოვნისადმი მიძღვნილი მუზეუმი სწორედ ამ სივრცეში განთავსდება. რეპრესირებული მწერლების მუზეუმი საბჭოთა ტერორის მსხვერპლთა შესახებ არსებულ მეხსიერებასა და აქამდე უთქმელ ისტორიებს გააცოცხლებს“ — აღნიშნულია მწერალთა სახლის განცხადებაში.

„ქართუს“ შარშანდელი ქველმოქმედება

კორონავირუსის პანდემიის შედეგად გამოწვეული სირთულეების მიუხედავად, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულმა სააგენტომ, ფონდ „ქართუს“-თან თანამშრომლობის პირობებში, 2020 წელს შეუფერხებლად წარმართა არქიტექტურული ძეგლების საპროექტო დოკუმენტაციების მომზადების,სარესტავრაციო-საკონსერვაციო სამუშაოების, ინფრასტრუქტურული მოწყობის, სამეცნიერო კვლევისა და ინვენტარიზაციის პროცესები, — აღნიშნულია კულტურული მემკვიდრეობის სააგენტოს მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

2020 წელს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს დაფინანსებით, განხორციელდა 32 მიმდინარე და ახალი პროექტი; ფონდი „ქართუს“ დაფინანსებით განხორციელდა 93 მიმდინარე და ახალი პროექტი; ძეგლთა რეაბილიტაციის სამსახურის მიერ მომზადდა 10 საპროექტო დოკუმენტაცია და შესყიდულია 24; გამოწერილია ძეგლზე სამუშაოების 288 სანებართვო მოწმობა; 95 ობიექტს მიენიჭა კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსი, ხოლო ეროვნული მნიშვნელობის კატეგორიის განსაზღვრისათვის რეკომენდაცია გაეწია 7 ძეგლს, ობიექტთა ნუსხაში შეტანილ იქნა 163 ნაგებობა.

დაფინანსდა 85 არქეოლოგიური ექსპედიცია.

ცისკარაულების კოშკს ქართველებთან ერთად უცხოელებიც აღადგენენ

არხოტის ხეობაში, სოფელ ახიელში ცისკარაულების საგვარეულო კოშკის რეაბილიტაცია ქართველი, ბრიტანელი და ფრანგი მოხალისეების ჩართულობით განხორციელდება.

პროექტი მიზნად ისახავს ცისკარაულების საგვარეულო კოშკის რეაბილიტაციას, არხოტის თემის კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობის წარმოჩენას. მიმდებარე ტერიტორიის გასუფთავებას. პროექტით ასევე გათვალისწინებულია საფეხმავლო ეკო-ტურისტული ბილიკის მშენებლობა, პროექტი გულისხმობს ქართველი და უცხოელი მოხალისეების ჩართვას აღდგენით სამუშაოებში. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა ადგილობრივი თემის მონაწილეობასა და ჩართულობას პროექტის ყველა საქმიანობაში. კოშკი საგრძნობლად დაზიანდა 2001 წლის მეორე ჩეჩნეთის ომისას, როდესაც რუსების მიერ ნასროლი ჭურვი მოხვდა მის აღმოსავლეთ კედელს და ჩამოანგრია კედლის 1 მ სიმაღლის და 1.5 მ სიგანის ფრაგმენტი.

◎ ისევ განუკითხაობა!

მღვრიე წყალი...

უკვე ნახევარი წელიწადია, რაც ქართულ სარაგბო თემს თავკაცი არა ჰყავს და მოვლენები ისე ვითარდება, ძნელი სათქმელია, დაადგება კი საშველი არეული მონასტრის დალაგებას?

არა, ფორმალურად ირაკლი აბუსერიძის სახით, რომელიც რამდენჯერმე გადადების შემდეგ ჩატარებულმა ყრილობამ, ბოლოს და ბოლოს, აირჩია პრეზიდენტად, ვნებები უნდა დამცხრალიყო და კონკრეტულ საქმეთა კეთებაზე უნდა გადავსულიყავით, მაგრამ იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრმა „ბორჯღალოსანთა“ ყოფილ კაპიტანს, აქაოდა წესდების პუნქტები დაირღვაო, რეგისტრაციაზე უარი უთხრა, სრკ-ის გამგეობის მიერ მოწვეულ საგანგებო საერთო კრებაზე კი, რომელსაც „აბუ“ და მისი მომხრეები არალეგიტიმურად მიიჩნევდნენ და მონაწილეობა არც მიუღიათ, ქვორუმი არ შედგა და 24 ხმოსანი დელეგატის გამოცხადება გადაწყვეტილების მისაღებად საკმარისი არ აღმოჩნდა.

არანაკლებ საგანგაშოდ გვესახება ავჭალის სტადიონის საპრესკონფერენციო დარბაზის შესასვლელთან და, განსაკუთრებით, ეზოში მომხდარი ფიზიკური გაწევ-გამოწევა და სიტყვიერი შეურაცხყოფა, რომელიც, თუ დროზე არ გაიხსნა კვანძი, კაცმა არ იცის, როგორ მასშტაბებში გადაიზრდება.

შექმნილ ფორსმაჟორულ ვითარებაში ცეცხლზე ნავთის დასხმის ტოლფასია პროცესებში პოლიტიკური მოტივებით მანიპულირება და პრეზიდენტობის კანდიდატების ამათუიმ სამთავრობო კლანით ლობირებით „დაკრიშვის“ მცდელობაში დადანაშაულება.

მოკლედ, სრკ-ის გამგეობა უახლოეს დღეებში უნდა შეიკრიბოს და განმეორებითი არჩევნები, დებულების მიხედვით, ათიდან ოცდაათ დღემდე ვადაში უნდა დაინიშნოს, მანამდე კი მოქმედ პირთა და შემსრულებელთა კომენტარებს გავეცნოთ:

ირაკლი აბუსერიძე — **„როგორც მე ვერ გავხდები მშენებელი, ისე ტყემალაძეც ვერ გახდება მორაგბე“.**

იოსებ ტყემალაძე — **„გუნდების წარმომადგენლებზე დიდი ზეწოლა ხორციელდებოდა. რამდენიმე დელეგატი გზიდან გაბრუნდა, ხოლო რამდენიმეს ტელეფონი გამორთული აქვს. ეს მათი არჩევანია. იყო ფიზიკური შეურაცხყოფა და სირცხვილის დერეფანი, რაც მიუღებელია. ახალი ყრილობისთვის მოსამზადებლად მეტი დრო მექნება და, იმედია, მეტი დელეგატიც მოვა“.**

და ბოლოს: ქართული სარაგბო ოჯახის ნაწილი საგანგებო ყრილობის ჩაშლის შემდეგაც შეიკრიბა და საკუთარი პოზიცია კიდევ ერთხელ გამოხატა. ბუნებრივია, ვითვალისწინებთ მკითხველის ინტერესს და გაგაცნობთ სრკ-ის ყოფილი ხელმძღვანელისა და საგარეო საქმეთა მინისტრის ექს-მოადგილის, ძველი მორაგბის **მერაბ ანთაძის** მიერ სატელევიზიო ინტერვიუს დროს გამოთქმულ კომპეტენტურ მოსაზრებას — **„სრული სიცრუეა, თითქოს ჩვენი სარაგბო საზოგადოების აბსოლუტური უმრავლესობა მხარს ირაკლი აბუსერიძეს უჭერს“.**

ასე რომ, გაგრძელება იქნება.

◎ ჩემპიონთა ლიგა

გამოცდიდან - გამოცდაზე

როტერდამში გამართული ტოკიოს ოლიმპიადის სალიცენზიო ტურნირიდან თავაწეულად დაბრუნებული საქართველოს ნაკრების საბაზო კლუბის — თბილისის „დინამოს“ წყალბურთელები ხვალ უნგრეთის დედაქალაქში ჩემპიონთა ლიგის „ბ“ ჯგუფის შეხვედრებში ჩაებმებიან.

შეგახსენებთ, რომ დეკემბერში ბუდაპეშტის აუზშივე ჩატარებული სამი სასტარტო მატჩიდან **დეიან სტანოიევიჩის** შეგირდებმა ორი დათმეს: ასპარეზობის გამოკვეთილ ფავორიტებთან — კატალონიურ „ბარსელონეტასთან“ — 5:17 და იტალიურ „ბრეშიასთან“ — 9:15, ხოლო მესამეში პირველი — ისტორიული გამარჯვება მოიპოვეს მონტენეგროს „ადრანთან“ — 11:8.

აღსანიშნავია, რომ იმ თამაშებში ჩვენს გუნდს ტრავმირებული კაპიტანი ზურაბ რურუა მოძღვრავდა, რომელიც ვერც ამჯერად დაეხმარება პარტნიორებს ისევე, როგორც მიხეილ ბაღათურია, დამირ ცრეპულია (კარიერა დაასრულეს), ფაბიო ბარალდი (სამშობლოში — იტალიაში დაბრუნდა), ხვიჩა ჯახაია (უკვე მოსკოვის „დინამოს“ წევრია) და ნიკა შუშიაშვილი (სერბულ „ნოვი ბელგრადში“ ჩაირიცხა), თუმცა, არის მატებაც ავტორიტეტიან ბალკანელ ლეგიონერთა სახით — სერბმა მსოფლიოს თასის მფლობელმა **დუშან ვასიჩმა** და მონტენეგროელმა თავდამსხმელმა **იოვან სარიჩმა** საქართველოს მოქალაქეობა მიიღეს და სექტემბრიდან „ჯვაროსნებსაც“ შეეშველებიან.

როგორც ცნობილია, ევროპის ყველაზე პრესტიჟული საკლუბო შეჯიბრების გადამწყვეტ რაუნდს 3-5 ივნისს ჰანოვერი უმასპინძლებს, ამიტომ ამ გერმანული ქალაქის გუნდს 8 მონაწილიდან ერთ-ერთი ადგილი დაჯავშნული აქვს, ხოლო ჩვენი ჯგუფის ექვსეული დარჩენილი 3 ვაკანსიისთვის ასეთი კალენდრით იბრძოლებს:

2 მარტი. „ჰანოვერი“ — „დინამო“. **3 მარტი.** „დინამო“ — „ფერენცვაროში“. **4 მარტი.** „ბრეშია“ — „დინამო“. **5 მარტი.** „დინამო“ — „ბარსელონეტა“. **20 აპრილი.** „იადრანი“ — „დინამო“. **21 აპრილი.** „დინამო“ — „ჰანოვერი “. **22 აპრილი.** „ფერენცვაროში“ — „დინამო“.

◎ ლეგიონერი

ქართული წვლილი

21 წუთში მოგროვებული 8 ქულა, 4 მოხსნა და 3 ჩაჭრა — ასეთი პირადი მონაგრით დაუბრუნდა ცსკა-ს ტრავმამოშუშებული თორნიკე შენგელია საბერძნეთში პირეოსის „ოლიმპიაკოსთან“ დრამატულ ბრძოლაში მოგებულ ევროლიგის ჯგუფური რაუნდის მატჩში — 75:74.

ეს გახლდათ ელადელთა ბოლო შანსი მომდევნო ეტაპზე გასასვლელად, რამაც განაპირობა კიდეც მათი არნახული შეუპოვრობა და 18-ქულიანი ჩამორჩენის შემდეგ დაწინაურებაც კი, მაგრამ უკანასკნელ წამებზე საბედისწეროდ დაჯარიმდა მასპინძელთა ლიდერი სპანულისი და ჯეიმსმა სამიდან 2 ტყორცნის ჩაგდებით არმიელებს მძიმე გამარჯვება მოუტანა.

ასე რომ, დიმიტრის იტუდისის გუნდი სატურნირო ცხრილში მეორე ადგილს ინარჩუნებს და მხოლოდ მადრიდის „რეალს“ ჩამორჩება, რომელმაც შინ კაუნასის „ჟალგირისს“ სძლია — 70:58.

საკუთარ დარბაზში ფრანგულ „ვილერბანთან“ კიდევ ერთი შეხვედრა წააგო ყოფილმა ლიდერმა „ბარსელონამ“ — 69:76, ხოლო თურქულ დერბიში „ეფესმა“ „ფენერბახჩე“ დაამარცხა — 110:74.

◎ „დიდი მუზარადი“

ტაშკენტიდან - თბილისში

საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრები ლაშა გუჯეჯიანის თავკაცობით 5-7 მარტს ტაშკენტში სალიცენზიო „დიდ მუზარადზე“ ექსპერიმენტული შემადგენლობით გაემგზავრება და ძირითად ბირთვს თბილისის „დიდი პრიზისთვის “ დაასვენებს, რომელსაც 26-28 მარტს უნდა ვუმასპინძლოთ.

ამთავითვე ვიტყვით, რომ მხოლოდ პირობითად თუ შეიძლება ჩვენს გუნდს გადახალისებული ვუწოდოთ, რადგან სათადარიგოთა შორისაც კი ისეთი ტიტულოვანი ფალავნები სჭარბობენ, ბევრი ქვეყანა რომ ინატრებდა, რაშიც თავად დარწმუნდებით. არც ისაა გამორიცხული, რომ უზბეკურ ტატამზე გურამ თუშიშვილიც ვიხილოთ.

60 კგ. ჯაბა პაპინაშვილი;
73 კგ. ფრიდონ გიგანი;
81 კგ. ავთანდილ ჭრიკიშვილი, უშანგი მარგიანი;
100 კგ. გიორგი ჩიქოვანი;
+100 კგ. ადამ ოქრუაშვილი, ლევან მატიაშვილი.

ქალები

52 კგ. ტატიანა ლევიცკა-შუკვანი;
70 კგ. მარიამ ჭანტურია;
+78 კგ. სოფო სომხიშვილი.
მწვრთნელი — კახა მოცრაძე.

დავძენთ, რომ შუა აზიიდან დაბრუნების შემდეგ ჩვენი ძიუდოისტები 10 მარტიდან ერთობლივ შეკრებაზე გადავლენ მონღოლებთან, ხორვატებთან და სლოვენიელებთან ერთად.

◎ დოპინგი

სანქციები ძალაშია!

როგორც ცნობილია, რუსეთის მძლეოსნობის ფედერაცია გახმაურებული დოპინგ-სკანდალების გამო უკვე რამდენიმე სეზონის განმავლობაშია დისკვალიფიცირებული და იქაური „სპორტის დედოფლის“ წარმომადგენლები საერთაშორისო ტურნირებზე ნეიტრალური სტატუსით ასპარეზობენ, ხოლო 2016 წლის ოლიმპიადაზე ერთი მათგანიც კი არ დაუშვეს.

ამ დღეებში გაირკვა, რომ სანქციები ძალაში რჩება გაურკვეველი ვადით, ვიდრე 17-18 მარტს მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაცია არ იმსჯელებს ჩრდილოელთათვის ნეიტრალური სტატუსის დაბრუნებაზე, ის კი გადაწყვეტილია, რომ 4-7 მარტს რუსი მძლეოსნები მოკვეთილნი არიან პოლონეთის ქალაქ ტორუნში გასამართავი დარბაზებში ევროპის ჩემპიონატიდან.

„კარგად გვესმის ათლეტებისა და მათი მწვრთნელების წუხილი და იმედგაცრუება კონტინენტურ ფორუმზე დაუშვებლობის გამო. ვთხოვთ ჩვენს სპორტსმენებს, კვლავაც მოთმინებით აღიჭურვონ და გეგმის მიხედვით მოემზადონ ზაფხულის ოლიმპიური სეზონისთვის. რეაბილიტაციისთვის ბრძოლა გრძელდება“ — ასეთია შერისხულთა რეაქცია.

◎ კარიერის დაისი?

მარცხი ელანძეა

თითქოს ზურგზე გადატანილი მეხუთე ოპერაციის შემდეგ გაჭიანურებული აღდგენითი პროცესი არ ჰყოფნიდეს, ლეგენდარული ამერიკელი გოლფისტი ტაიგერ ვუდსი მორიგ განსაცდელში ჩავარდა.

საუბარია ლოს ანჯელესის სიახლოვეს მომხდარ უმძიმეს ავტოავარიაზე და ორივე ფეხის მოტეხილობაზე, თუმცა, როგორც იყტობინებიან, სასწრაფო ქირურგიული ჩარევის შემდეგ მის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება, განსხვავებით კარიერის გაგრძელებისა.

იქაური ოლქის შერიფის დეპარტამენტმა ხაზი გაუსვა ლეგენდის სერიოზულ დაზიანებებს, ხოლო კალიფორნიის პოლიციის კაპიტანმა ჯეიმს პაუერსმა განაცხადა: **„მისი მანქანა დაღმართზე მოძრაობდა, გზაზე კი ბევრი მკვეთრი მოსახვევია. „ჯიპი“ ჯერ-ჯერობით გაურკვეველი მიზეზით შემხვედრ ზოლში აღმოაჩნდა, მისი ბორბალი ტროტუარს შეეხო და სალონში მარტო მჯდომი ტაიგერ ვუდსის მანქანა რამდენჯერმე ამოტრიალდა“.** დავძენთ, რომ გონებაზე მყოფი ვარსკვლავი მაშველებმა დამსხვრეული ავტომობილიდან სპეციალური მოწყობილობით ამოიყვანეს.

ჯემალ კუხალაშვილი და ნუნუ მაჭანკალაძე ოჯახით, ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ უახლოესი მეგობრის ვაჟა შუბლაძის და ანინე ჯვარშეიშვილის უძვირფასესი, საქვეყნოდ გამორჩეული, კეთილშობილებით და ღიმილით აღსავსე, შეჭირვებულთა ქომაგისა და უანგაროდ დამხმარე, უნიჭიერესი და უსაყვარლესი ქალიშვილის

სოფო შუბლაძის

ტრაგიკულად გარდაცვალების გამო.

ღრმა მწუხარებით ვიუწყებით და ვუსამძიმრებთ ჩვენს უახლოეს მეგობრებს ვაჟა შუბლაძეს, ანინე ჯვარშეიშვილს და მათ ოჯახს გამოჩენილი მოღვაწის, უნიჭიერესი და უსაყვარლესი ქალიშვილის

სოფო შუბლაძის

მოულოდნელად გარდაცვალების გამო.

გივი აბდუშელიშვილი, ვალერი ასათიანი, ზურაბ ასათიანი, მერაბ ახობაძე, ჯანო ბაგრატიონი, გიზო ბაქანიძე, ჯემალ ბერიძე, ნანა ბიჭიაშვილი, თამაზ გაბუნია, ბაკურ გულუა, გურამ გუნავა, შოთა დოლონაძე, ზურაბ ერქვანია, ემზარ ზენაიშვილი, თემურ თოფურიძე, ომარ კაჭარავა, შოთა კოხრეიძე, მიხეილ, ჯემალ, გიზო კუხალაშვილები, ნიკო ლეკიშვილი, ვაჟა ლორთქიფანიძე, მურთაზ მამისეიშვილი, ავაზ მემანიშვილი, ირაკლი მენაღარიშვილი, შალვა ნაჭყებია, სოსო ორჯონიკიძე, გიორგი სალუქვაძე, დავით სალარიძე, თამაზ ყიფიანი, ვახტანგ ყოლბაია, გრიგოლ შონია, გივი შულაროვი, ოთარ წეროძე, გივი ჯაფარიძე, ნოდარ ჭითანავა.

საქართველოს საინჟინრო აკადემია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ აკადემიის ნამდვილ წევრს ვაჟა შუბლაძეს გარდაეცვალა შვილი

სოფო შუბლაძე

და თანაგრძნობას უცხადებს გარდაცვლილის ოჯახს.

ეროვნული ერთიანობის ცენტრი — ჟიული შარტავას საზოგადოება, ღრმა მწუხარებას გამოთქვამს საზოგადეობის წევრის ვაჟა შუბლაძის შვილის

სოფოს

გარდაცვალების გამო და თანაუგძნობს გარდაცველილის ოჯახს.

სპარტაკ ქობულია ოჯახით უდიდეს მწუხარებას გამოთქვამს საქართველოს გამორჩეული შვილის

სოფო შუბლაძის

გარდაცვალების გამო და უსამძიმრებს უახლოეს მეგრობრებს ვაჟა შუბლაძეს და ანინე ჯვარშეიშვილს, კოლეგა ნინო შუბლაძეს ამ უდიდესი ტრაგედიის გამო.

ყოველგვარი რეკლამა გაზეთს ჰაერივით სჭირდება!

განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვეთ 103 წლის ყოველდღიური გამოცემის აღორძინებას.

ჩვენი ანგარიშია: №GE19TB7601536020100009.

(შპს „ახალი საუკუნე“ — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი).



ნოდარ გიოშვილი

გარდაიცვალა ქართული ენციკლოპედიის ირ. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქციის ღვაწლმოსილი თანამშრომელი, კულტურის დამსახურებული მუშაკი, ცნობილი ბიბლიოგრაფი ნოდარ გიოშვილი. ბატონი ნოდარი ენციკლოპედიის დაარსების დღიდან ხელმძღვანელობდა ბიბლიოგრაფიის, შემდეგ კი — სამეცნიერო და სალიტერატურო კონტროლის რედაქციას. იგი განსაკუთრებული ერთგულებით, თავდადებით და უშურველად ემსახურებოდა ენციკლოპედიის მრავალტომეულის გამოცემას, იყო უაღრესად განათლებული, ერუდირებული, კეთილშობილი, გულწრფელი და უანგარო ადამიანი. ბატონი ნოდარი ნამდვილად დააკლდება ქალაქს, ოჯახს და თითოეულ ჩვენგანს. ნათელში გამყოფოთ უფალმა, ბატონო ნოდარ.

ირ. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია.

მეუღლე მიმოზა შენგელია, შვილები თამარ, რუსუდან ჭანტურიები ღრმა მწუხარებით იუწყებიან

ვალერი ანდროს ძე ჭანტურიას

გარდაცვალებას. დაკრძალვა 4 მარტს, 15:00 საათზე. ქ. წალენჯიხა, მაიაკოვსკის ქ. 13.

მანანა, ინეზა ქელბაქიანები, სვეტლანა აბშილავა, იუზა უგულავა, შალვა მგალობლიშვილი ოჯახებით მწუხარებით იუწყებიან უახლოესი მეგობრის, ღირსეული პიროვნების

ვალერი ჭანტურიას

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახის წევრებს და ახლობლებს.

ს.ს. „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ აცხადებს აუქციონს

მის ბალანსზე რიცხული დემონტირებული ან/და გამოუსადეგარი ძირითადი საშუალებების, ელექტრონული აუქციონის წესით (პირობებით) — 1 (ერთ) ლოტად გაყიდვის მიზნით

დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ, ს.ს. „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის„ ინტერნეტ გვერდზე: **www.gse.com.ge** და ასევე, **www.eauction.ge**

საკონტაქტო პირი: გიორგი ოდიშვილი
ტელეფონი: ძალაძის — 2-510-281
მობილური: 577 240-233

მკვდარი... ჩამოახრჩვეს

ირანელი ზახრა იზმაილი, პირდაპირ ეშაფოტის წინ გარდაიცვალა, თუმცა ის მაინც ჩამოახრჩვეს. ორი შვილის დედას ჩამოხრჩობით სიკვდილი მიუსაჯეს ქმრის მკვლელობის გამო, რომელიც ირანის დაზვერვის მაღალი თანამდებობის პირი იყო. ზახრას ადვოკატის თქმით, ქმარი მას შეურაცხყოფას აყენებდა და სცემდა. დანაშაულის მომენტში კი ქალი თავსა და ქალიშვილს მოძალადისგან იცავდა.

სიკვდილით დასჯამდე ქალი 16 მსჯავრდებულის ჩამოხრჩობის მომსწრე გახდა. ზახრამ შემაძრწუნებელ სანახაობას ვეღარ გაუძლო და გულის შეტევით გარდაიცვალა. თუმცა ზახრას მოკლული ქმრის პატივისცემის ნიშნად, სასიკვდილო განაჩენი მაინც აღასრულეს. ზახრას დედამთილმა თავად გამოაცალა საყრდენი ქალს, რომელიც უკვე მკვდარი იყო.

გვირაბის ბოლოს შუქი ჩანს

მას შემდეგ, რაც ამერიკულმა მარეგულირებელმა კომპანია Johnson&Johnson-ის ვაქცინის გამოყენების ნებართვა გასცა, გვირაბის ბოლოს უფრო მეტი შუქი გამოჩნდა. ამის შესახებ თეთრი სახლის ლიდერმა განაცხადა.

„ეს ამაღელვებელი და იმედისმომცემი ამბავია ყველა ამერიკელისთვის. გვირაბის ბოლოს შუქი ჩანს, მაგრამ იმისათ-



ვის, რომ ვირუსი დავამარცხოთ, არ უნდა მოვდუნდეთ და სწრაფად და აგრესიულად უნდა ვიმოქმედოთ“, — აღნიშნა ჯოზეფ ბაიდენმა.

Johnson&Johnson-ის ვაქცინა მესამე ვაქცინაა, რომლის გამოყენების ნებართვაც ამერიკულმა მარეგულირებელმა გასცა.

ჯილდო — ვაქცინის შექმნისთვის

გერმანიის პრეზიდენტი ფრანკ-ვალტერ შტაინმაიერი COVID ვაქცინების შემქმნელებს უგურ შაჰინს და ოზლემ ტიურეჩს კორონავირუსის პანდემიის შეკავებაში შეტანილი წვლილისთვის ღირსების ორდენით დააჯილდოებს.

ამის შესახებ გერმანიის პრეზიდენტმა Facebook-ზე დაწერა და აღნიშნა, რომ ამ სპეციალისტების წვლილი პანდემიის შეკავებაში გადამწყვეტია. დაჯილდოების ცერემონიას 19 მარტს შტაინმაიერთან ერთად, კანცლერი ანგელა მერკელიც დაესწრება. ვაქცინის შექმნა გერმანული სტარტაპის დამსახურებაა, რომელსაც თურქული წარმოშობის ცოლ-ქმარი, უგურ შაჰინი და ოზლემ ტიურეჩი ხელმძღვანელობენ.

ვაზუსტებთ!

ჩვენი გაზეთის ხუთშაბათ-კვირის ნომერში გამოჩენილ მომღერალ გიორგი გაგნიძეზე დაბეჭდილ წერილში (მე-7 გვ), მომღერლის დედის გვარი მოხსენიებულია არასწორად, უნდა იყოს გუგბერიძე.

„VICTORIA'S SECRET"-ის ბრენდის პანდემიური წარმატება

ცნობილი მსოფლიო ბრენდი ქალის თეთრეულის წარმოებაში „Victoria's secret" ბოლო წლების განმავლობაში სერიოზულ კრიზისს განიცდიდა.

მათი დაღმასვლა განსაკუთრებით 2018 წელს დაიწყო. როდესაც კომპანიის დიზაინერებმა ედ რაზეკმა და მონიკა მიტრომ, განაცხადეს, რომ მათი შოუ ზღაპარს უნდა გავდეს და იქ „არაიდეალური „ფორმის ქალბატონებისა და ტრანსგენდერების ადგილი არ გახლავთო. ამ ყველაფერს უარყოფითი რეაქციები მოჰყვა ხალხის მხრიდან, რაც პირდაპირ აისახა პროდუქციის გაყიდვებზე.

ბრენდის დანაკარგი იმდენად დიდი იყო, რომ მათი ცნობილი შოუ, რომელშიც მსოფლიოს წამყვანი მოდელები მონაწილეობდნენ და მილიონობით ადამიანი უყურებდა, არ ჩატარდა.

ზარალი მილიარდებს შეადგენდა, ამიტომ შესაცვლელი გახდა კონცეფცია. 2020 წლიდან „Victoria's secret"-მა გადაწყვიტა, რომ მათი თეთრეული ე.წ. „პლუს საიზის" — გოგონებსაც მოერგოთ, გარდა ამისა ტრანსგენდერი ქალბატონებიც მიიწვიეს რეკლამებში. ამის, შემდეგ ონლაინ გაყიდვების გაზრდაზე დაიწყეს მუშაობა. რამაც საკმაოდ კარგი შედეგი გამოიღო და პანდემიის პერიოდში ბრენდი სოლიდურ მოგებაზე გაიყვანა.

ახლა „Victorias ანგელოზები" მკაცრ ჩარჩოებში აღარ ჯდება და ამ ულამაზესი ქალის თეთრეულის მორგება ნებისმიერი პარამეტრის ქალბატონს შეუძლია.

ნიუ-იორკის გუბერნატორს სექსუალურ შევიწროებაში სდებენ ბრალს



25 წლის შარლოტა ბენეტი, რომელიც ნიუ-იორკის გუბერნატორის ყოფილი თანაშემწეა, აცხადებს, რომ ენდრიუ კუომო ხშირად აყენებდა მას უხერხულ სიტუაციებში. მისი საუბრები და კითხვები გოგონას ინტიმური ცხოვრების შესახებ, ახალგაზრდა, დიდ უხერხულობაში აგდებდა. თუმცა შარლოტა აცხადებს, რომ ფიზიკურ ძალადობას ადგილი არასდროს ჰქონია.

მას შემდეგ, რაც ეს ფაქტი ბენეტმა გუბერნატორის აპარატის უფროსს განუცხადა, იგი სხვა თანამდებობაზე გადაიყვანეს და რადგან გოგონას ახალი სამსახური ძალიან მოსწონდა, ჩივილს არ აპირებდა. ნიუ-იორკის გუბერნატორი ენდრიუ კუომო, რა თქმა უნდა, ფსიქოლოგიური და სიტყვიერი ძალადობის ფაქტს უარყოფს.

რეპერმა საარჩევნო კამპანიისთვის 12 მილიონი დახარჯა

ცნობილი ამერიკელი რეპერი კანი ვესტი ამერიკის შეერთებული შტატების საპრეზიდენტო არჩევნებში აპირებდა მონაწილეობის მიღებას. ამერიკული მედიის ცნობით, მან ამ კამპანიის წარმოებისთვის საკუთარი ჯიბიდან 12 მილიონი დოლარი დახარჯა.

ძირითადი თანხები რეპერის პოლიტიკურ რეკლამებში გაიფლანგა, თუმცა ამ ყველაფერს შედეგი არ მოუტანია, რადგანაც მომღერალმა სულ რაღაც 66 ათასი ხმა მოაგროვა. რეპერის ცხოვრებაში 2020 წელი მართლაც უიღბლო გამოდგა, რადგან მისი და ცნობილი მოდელისა და მსახიობის კიმ კარდაშიანის შვიდწლიანი ქორწინება გაყრით დასრულდა.

მოამზადა
რუსუდან ქოგულიამ

დაკარგული ძაღლები ლედი გაგას დაუბრუნეს

ამერიკელ მომღერალ და მსახიობ ლედი გაგას დაუბრუნეს დაკარგული ძაღლები — ფრანგული ბულდოგები კოჯი და გუსტავი, რომლებიც რამდენიმე დღის წინ გაიტაცეს.

ძაღლებს 24 თებერვალს ლედი გაგას თანაშემწე რაიან ფიშერი ასეირნებდა, როდესაც მასთან 2 შეიარაღებული კაცი მივიდა და ძაღლების წაყვანა სცადა. როდესაც ფიშერმა მათ წინააღმდეგობა გაუწია, ერთ-ერთმა მათგანმა ის დაჭრა. ლედი გაგამ განაცხადა, რომ ძაღლების დაბრუნების შემთხვევაში 500 000 დოლარს გადაიხდის იმ შემთხვევაშიც კი, თუ ვიღაც მის ძაღლებს იყიდის ან ქუჩაში იპოვის. ძაღლები პოლიციაში მიიყვანა ქალმა, რომლის ვინაობაც არ სახელდება. ის პოლიციელებს და ლედი გაგას წარმომადგენლებს 26 თებერვალს შეხვდა. პოლიციის ინფორმაციით, ქალს ძაღლების გამტაცებლებთან არანაირი კავშირი არა აქვს. მიიღებს თუ არა ქალი ლედი გაგას მიერ დასახელებულ ფულად ჯილდოს, ჯერჯერობით უცნობია.

ბრილიანტების პატრონი არ ჩანს

ნეაპოლში ეძებენ კაცს, რომელმაც სუპერმარკეტში 50 000 ევროს ღირებულების ბრილიანტები დაკარგა. მომენტი, როდესაც ადამიანს ჯიბიდან პატარა ტომარა ამოუვარდა, სათვალთვალო კამერებმა დააფიქსირეს. სუპერმარკეტის თანამშრომელმა ტომარაში 3 ბრილიანტი იპოვა და სუპერმარკეტის მენეჯერს გადასცა, თუმცა ძვირფასეულობის პატრონი მაღაზიაში არ დაბრუნებულა.

ამის შესახებ მაღაზიის მეპატრონემ ბრილიანტების ნეაპოლის მერიისთვის გადაცემა მოისურვა, თუმაც მერიაში განუცხადეს, რომ ასეთი ძვირადღირებული ნივთის შესანახად აუცილებელი სეიფი არა აქვთ, ამიტომ ბრილიანტები ამ დრომდე სუპერმარკეტის იურისტთან ინახება.

მომავლის ქალაქი იაპონიაში

კომპანია Toyota-მ იაპონიაში ჭკვიანი ქალაქის მშენებლობა დაიწყო. ქალაქი ხელოვნური ინტელექტისა და რობოტექნიკის დარგში მოწინავე ტექნოლოგიების გამოსაცდელი პოლიგონი იქნება. ქალაქი სახელწოდებით Woven City (ნაჭრის ქალაქი) ტოკიოდან 100 კილომეტრის დაშორებით განთავსდება. „ცოცხალი ლაბორატორიის" მოედნის ფართი 71 ჰექტარი იქნება.

Woven City-ში სამი ტიპის გზა დაიგება. პირველი საფეხმავლო იქნება, მეორე ელექტროსკუტერებისთვის, მესამე კი ავტომობილებისთვის. სატრანსპორტო საშუალებების ძირითადი წილი ePalette მოდის, ესაა ელექტრომობილები, რომელთაც თვითონ Toyota აწარმოებს. საწყის ეტაპზე ქალაქში სხვადასხვა ასაკის 360 ადამიანი იცხოვრებს, ასევე Toyota-ს 2 ათასამდე თანამშრომელი ოჯახებით და მეცნიერები.

მონარქი ვალებს ვერ იხდის

ესპანეთის ყოფილმა მეფემ ხუან კარლოსმა, რომელის ტახტიდან 2014 წელს გადადგა, $4,4-მილიონიანი ევროს დავალიანების დასაფარად თავისი მეგობრებისგან ფული ისესხა.

ყოფილი მეფის მეგობრებმა ნოტარიუსის თანდასწრებით ხელი მოაწერეს სესხის ხელშეკრულებებს, რათა ხუან კარლოსს იურიდიული პრობლემები არ შექმნოდა. El Pais-ი წერს, რომ ჩუქების შემთხვევაში თანხას 40%-ის გადასახადების სახით ჩამოეჭრებოდა, ამიტომ ხუან კარლოსის მეგობრებმა დახმარების ასეთი ფორმულა აირჩიეს. ფულის სესხების მზადყოფნა 30-ზე მეტმა ადამიანმა გამოთქვა, თუმცა საბოლოო ხელშეკრებულებაში მხოლოდ 10 მსესხებელი ფიგურირებს, რომელთა ვინაობაც მედიისთვის ჯერჯერობით უცნობია. აღსანიშნავია, რომ ხუან კარლოსი 83 წლისაა და მას არ შეუძლია გრძელვადიანი კრედიტის აღება, თუ მისი გარდაცვალების შემდეგ კრედიტის დაფარვაზე პაუხისმგებლობას მისი მემკვიდრეები არ აიღებენ. ყოფილი მეფის ადვოკატმა ჟურნალისტებთან საუბარში დაადასტურა ინფორმაცია, რომ ხუან კარლოსმა $4,4-მილიონიანი დავალიანება უკვე დაფარა.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ვაჟა ფშაველას №48
ტელ: 239-03-43

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძოგულია
599 36-00-35
პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" გამომცემელი"
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" გამომცემელი"
ტ: 599 79-76-79
იბეჭდება სტამბა
„კოლორში"
ე. ბაღდავაძის №3
კოლორ ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
2 009882 616932

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ოთხშაბათს, 3 მარტს

სრ
უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 3.3255; ევრო - 4.0322;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 4.6258;
100 რუბლი - 4.4633; თურქული ლირა - 0.4498;
აზერბაიჯანული მანათი - 1.9542;
1000 სომხური დრამი - 6.3026.

ამინდი 1 მარტისთვის
აღმოსავლეთი საქართველო:
ბარი - ღამე 0, დღე +11
მთიანი რაიონები - ღამე -4, დღე +6
დასავლეთი საქართველო:
ბარი - ღამე 0 დღე +9
მთიანი რაიონები - ღამე -2, დღე +5
თბილისი: ღამე +5, დღე +8

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 296-72-86, 599-79-76-79, 568-82-09-84
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge